სტატიები

ნინო გულიაშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მეტაფორული რეპრეზენტაციები: ომის კონცეპტუალური მეტაფორების კრიტიკული ანალიზი გენდერთან მიმართებაში

(გაზეთ *The Georgian Times*-ის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ამსახველი მასალის მიხედვით)

საკვანძო სიტყვები: *გენდერი, ომის კონცეპტუალური მეტაფორები, კოგნიტური მეტაფორის თეორია, კრიტიკული დისკურსის ანალიზი*

1. საკითხის აქტუალობა

გენდერისა და ენის ურთიერთმიმართების კვლევა ინტერესის საგანს წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტიკის მრავალი მიმართულებისათვის. სოციოლინგვისტიკის თვალსაწიერიდან, ენა სოციალური ქმედებაა, რომლის საშუალებითაც ადამიანი წარმოაჩენს საკუთარ თავს, აყალიბებს სოციალურ ურთიერთობებს და შეიმეცნებს სამყაროს. სოციალიზაციის პროცესი და სოციალური კონტექსტი განაპირობებს ადამიანის მიერ საკუთარი თავის აღქმას, სოციალური იდენტობების, მსოფლმხედველობის, პრიორიტეტების, ღირებულებებისა და მოლოდინების ჩამოყალიბებას (Gustafsod 1998; Wharton 2005).

ნებისმიერი სოციალური მოვლენა თუ ქმედება, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის აქტივობასთან, ინტერესიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, მედიაში აისახება. ის მუდმივად ახდენს მედიადისკურსის ტრანსფორმაციას და ამასთანავე ქმნის „ვერბალური ბრძოლის“ ველს, სადაც ქალი და მამაკაცი გარკვეულ პოზიციებს იკავებენ. წინამდებარე კვლევის მიხედვით, ქალი და მამაკაცი ომის რეალობას განსხვავებულად აღიქვამენ, რომელიც მედიაში გარკვეული სტრუქტურების – მეტაფორების სახით გამოვლინდება. მეტაფო-

რა ძლიერი ლინგვისტური იარაღია, რომელიც დისკურსის იდეაციურ ფუნქციას ასრულებს (Halliday 1978,117; Lakoff and Johnson 1980). ომი, ძირითადად, მამრობით სქესთან ასოცირებული ქმედებაა, რომელიც, თავის მხრივ, დისკურსის მასკულინიზაციას იწვევს და, შესაბამისად, „ომის მეტაფორა შეფარულად აძლიერებს ტრადიციულ გენდერულ მიკერძოებულობას“ (Fleischmann 2001,485).

წინამდებარე ნაშრომის მიზანი კი არის ომის კონცეპტუალური მეტაფორების გენდერთან მიმართებაში კვლევა; ანუ, განსხვავდება თუ არა ომის კონცეპტუალური მეტაფორების „არჩევანი“ დისკურსის მონაწილეების სოციალურ სქესთან მიმართებაში, რომლებიც აყალიბებენ ადამიანების მსოფლმხედველობას კოგნიტურ დონეზე.

კვლევის თეორიული ნაწილი ეფუძნება *დისკურსის კრიტიკულ ანალიზს* (კრიტიკულ დისკურს-ანალიზს) და კოგნიტური/კონცეპტუალური მეტაფორის თეორიას. პრაქტიკული ნაწილი კი წარმოდგენილია ადგილობრივი ინგლისურენოვანი გაზეთის – *The Georgian Times-ის* – საკვლევი კორპუსით (57267 სიტყვა), რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს ასახავს. აღნიშნული კორპუსი ჩვენ მიერ არის შედგენილი, რადგან ამჟამად ქართული ენის ეროვნული კორპუსი არ არის დასრულებული. კვლევა იხილავს და აანალიზებს საგაზეთო ჟანრის ტექსტებს: სტატიებსა და ინტერვიუებს, სადაც მდედრობითი და მამრობითი სქესის დისკურსის მონაწილენი (ჟურნალისტები, პოლიტიკოსები და ექსპერტები) საკუთარ შეხედულებებს ომის შესახებ მედიანარატივებში წარმოადგენენ.[1] აქ ომის კონცეპტუალური მეტაფორები განხილულია გენდერთან მიმართებაში ეთნიკური მიკუთვნებულობის გარეშე, რადგან საკვლევი კორპუსის ყველა ტექსტი ერთობლიობაში ქმნის დისკურსს, რომლის წიაღშიც ვლინდება გენდერთან ბმული ომის ზოგადი კონცეპტუალური მეტაფორები. უკანასკნელი კი უნივერსალურ ხასიათს ატარებს (Lakoff and Johnson 1980). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული შემთხვევის ჰიპოთეზა და საკვლევი კითხვებია:

დისკურსის მდედრობითი და მამრობითი სქესის მონაწილენი ომის კონცეპტუალური მეტაფორების საშუალებით განსხვავებულ მსოფლმხედველობებს წარმოაჩენენ მედიაში.

1. რომელ ლინგვისტურ მეტაფორებს გამოიყენებენ ქალი და მამაკაცი დისკურსის მონაწილეები ომის აღწერისათვის?
2. კონცეპტუალური მეტაფორების რომელი წყარო დომენები

1 ნებისმიერი მედიატექსტი რაღაცას გვიყვება (Chamberlein & Thompson 2004,1), რადგან ჟანრი და ნარატივი არის მედიატექსტების ორი მეტა ენა, რომლებიც მკითხველს უბიძგებენ ტექსტის წაკითხვისკენ (Lacey 2000,248).

ახდენენ ომის კონეცპტუალიზაციას?

3. როგორია კონცეპტუალური მეტაფორების პროდუქტიულობა /სისტემატურობის მაჩვენებელი, რომელთა საშუალებითაც ქალი და მამაკაცი დისკურსის მონაწილეები აღწერენ ომს? (კვლევის რაოდენობრივი ასპექტი)
4. რომელი კონცეპტუალური მეტაფორები ჭარბობს ქალისა და მამაკაცის დისკურსში?

2. თეორიული საფუძვლები

გენდერისა და ენის ურთიერთმიმართების კვლევები მრავალმხრივი მიმართულებით მიმდინარეობდა. ენის თანამედროვე თეორიები კი ეყრდნობა დისკურსის მაკონსტიტუირებელ ბუნებას; გენდერი აღნიშნულ თეორიებთან მიმართებაში განიხილება, როგორც სოციალური კონსტრუქტი, რომელიც ადამიანთან ერთად კი არ იბადება, არამედ „შეისწავლება“ (Talbot 1998,7). შესაბამისად, ენის სექსისტური გამოვლინებების კვლევები ჩაანაცვლა დისკურსის ასიმეტრიის კვლევებმა (მაგ. გენდერული ასიმეტრიების გამოვლინება ენაში), რომელმაც, თავის მხრივ, ასპარეზი გაუხსნა კრიტიკულ დისკურს-ანალიზს (Fairclough 1989; Chouliaraki and Faiclough, 1999; van Dijk 1993a; 1993b). აღნიშნული ტიპის კვლევებისთვის მნიშვნელოვანია, თუ როგორ ხდება: „ღირებულებათა სისტემების იდეოლოგიის შექმნა, რომლებიც ‘საღ აზრად’ მიიჩნევა საზოგადოებაში“ (Bucholtz 2003,57), ასევე როგორ ხდება დისკურსში ჰეგემონიისა და დომინირების შენარჩუნება (Cameron 2001,123). ჯონსტოუნის მიხედვით: „საუბრის ტიპი აყალიბებს აზროვნების ტიპს; უკანასკნელზე კი, თავის მხრივ, გავლენას ახდენს გრამატიკული სტრუქტურების, ლექსიკური ერთეულების, სტილის თუ ენის სხვა ასპექტების არჩევანი“ (Johnstone 2002,45).

ტრადიციულად, მეტაფორა განიხილება, როგორც რეპრეზენტაციის ლიტერატურული ხერხი. თუმცა, თანამედროვე ლინგვისტიკა განსხვავებულად ხედავს მეტაფორის არსს, გვთავაზობს რა აზრს, რომ ადამიანის ყოველდღიური ვერბალური აქტივობა მეტაფორულია (Reddy 1979). მეტაფორა, როგორც კოგნიტური მოვლენა, პოპულარობას იხვეჭს 1980-იანების დასაწყისში (Gibbs 1994; Lakoff 1987,1993; Lakoff and Johnson 1980; Sweetster 1990). კოგნიტური თვალსაზრისით, მეტაფორა აორგანიზებს ჩვენს გამოცდილებებსა და ყოველდღიურ რეალობებს; ამგვარად, მეტაფორაში აირეკლება ადამიანის აზროვნება და კონცეპტუალური სისტემა (Lakoff and Johnson 1980,19). როგორც ვხედავთ, კოგნიტური თეორეტიკოსები თვლიან, რომ მეტაფორა

უფრო აზროვნების მახასიათებელია, ვიდრე ენის. ამიტომ, მეტაფორა *წინადადება* კი არ არის მისი ტრადიციული გაგებით, არამედ ის ერთი საგნის გაგება და აღქმაა მეორე საგნის საშუალებით (Lakoff and Johnson 1980,5). ამ შეხედულებამ მეტაფორის ტრადიციული აღქმა გამოწვევის წინაშე დააყენა (Kovecses 2010, X). ჩვენი შეხედულებითაც, მეტაფორა ადამიანის ტვინის კოგნიტური მექანიზმია, რომელიც ენისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს.

ლაკოფის და ჯონსონის კონცეპტუალური[2] მეტაფორის თეორია ჩართულია დისკურსის კრიტიკულ ანალიზში, რადგან: „მეტაფორა ჩვენი გამოცდილების გარკვეულ ასპექტებს ნათელს ჰფენს და აწესრიგებს... მეტაფორები ქმნის ჩვენს რეალობებს, განსაკუთრებით კი სოციალურ ურთიერთობებს“ (1980,156), ამიტომ კონცეპტუალური მეტაფორის კვლევა დისკურსში ნათელს მოჰფენს ადამიანების მიერ სამყაროს ხედვის განსხვავებულ მოდელებს. უფრო მეტიც, ჩვენი აზროვნების კონცეპტუალური სისტემა ფუნდამენტურად მეტაფორულია და სწორედ მეტაფორების განსხვავებული არჩევანი განაპირობებს მათ დამარწმუნებელ ძალას (ibid., 1980,157).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დისკურსში მეტაფორის კვლევა მნიშვნელოვანია, რადგან ასეთი ტიპის კვლევა მეტაფორას განიხილავს, როგორც კოგნიტური ქმედების პროდუქტს. ის ადარებს გარკვეული მნიშვნელობისთვის მეტაფორების განსხვავებულ არჩევანს სხვადასხვა დისკურსში (Fairclough 1992,237), მაგალითად, მეტაფორის განსხვავებული არჩევანი ქალისა და მამაკაცის დისკურსში.

ომის მეტაფორების ლინგვისტური კვლევა, რომელიც აერთიანებს კრიტიკულ, კოგნიტურ და სოციალურ მიდგომებს, უკვე ორი ათწლეულის განმავლობაში აქტუალური სამეცნიერო საკითხების დღის წესრიგში დგას. მეტაფორა ძლიერი ლინგვისტური იარაღია, რომელსაც შესწევს უნარი, ტექსტს იდეოლოგიური ელფერი შესძინოს (Goatly 1997). მეტაფორის აღნიშნულმა თანამედროვე ხედვამ ომის კონცეპტი, კონცეპტუალური მეტაფორების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ლინგვისტური ინტერესის საგნად აქცია. ამ მხრივ აღსანიშნავია, ჯეიმს უილიამ ანდერჰილის (Underhill 2004) კვლევა ერაყის ომის მეტაფორული რეპრეზენტაციის შესახებ და ჯორჯ ლაკოფის ნაშრომი „მეტაფორა და ომი“ (Lakoff 1992), რომლის მიხედვითაც, მეტაფორული სისტემა ამართლებდა ომს სპარსეთის ყურეში. ლაკოფის მიერ გამოვლენილი კონცეპტუალური მეტაფორები ომის კონცეპტისადმი

2 კოგნიტური ლინგვისტები აღნიშნულ თეორიას კოგნიტური მეტაფორის თეორიასაც უწოდებენ (Kovecses 2008,168)

ურთიერთსაპირისპირო ხედვებს წარმოაჩენს: ***ომი პოლიტიკაა, ომი ძალადობრივი დანაშაულია, ომი მედიცინაა*** და ***ომი კონკურენტული თამაშია.*** აღნიშნულთაგან, ნეგატიური კონოტაცია მხოლოდ ერთ მეტაფორას გააჩნია (***ომი ძალადობრივი დანაშაულია***), დანარჩენი კი, გარკვეულწილად, საომარ მოქმედებებს ამართლებს (Lakoff 1992). რაც შეეხება ანდერჰილის კვლევას, მან გაზეთ The Independent-*ის* მასალაზე დაყრდნობით გამოავლინა შემდეგი კონცეპტუალური მეტაფორები: ***ომი პრობლემის გადაჭრაა*** და ***ომი დანაშაულთან ბრძოლაა***, რომლებიც ასევე საომარი მოქმედების დადებით მხარეს უსვამს ხაზს (Underhill 2003,135). ანდერჰილმა მოახდინა კვლევაში გამოვლენილი კონცეპტუალური მეტაფორების კლასიფიკაცია, გამოყო რა ტრადიციული და ახალი მეტაფორული სტრუქტურები (ibid., 142).

ზემოხსენებულისგან განსხვავებით, ვერონიკა კოლერი (Koller 2004) იკვლევდა მეტაფორას და გენდერს ბიზნეს მედიადისკურსში. კვლევის შედეგი იყო კონცეპტუალური მეტაფორის გამოვლენა: ***ბიზნესი ომია***, რომელიც კრიტიკული თვალსაზრისით აღნიშნული დისკურსის მასკულინიზაციას იწვევს. კოლერმა და სემინომ (Koller and Semino 2009) ასევე გამოიკვლიეს ორი პოლიტიკოსის ანგელა მერკელის და გერჰარდ შროდერის მეტაფორული პროდუქტიულობა დისკურსში და წარმოადგინეს კონცეპტუალური მეტაფორების სისტემატურობის შემდეგი მაჩვენებლები: 0.43 (ანგელა მერკელი) და 0.72 (გერჰარდ შროდერი). გენდერის ზეგავლენა ომის კონცეპტუალიზაციაზე გაანალიზებულია სუზან ჰოლინგსუორთის (2006) ნაშრომში, სადაც იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქალი და მამაკაცი ომის მეტაფორული კონცეპტუალიზაციისთვის განსხვავებულ წყარო დომენებს ანიჭებენ უპირატესობას. ქართულ სამეცნიერო სივრცეში აღნიშნული ტიპის კვლევები სიახლეს წარმოადგენს. აღსანიშნავია ნინო კირვალიძის საკონფერენციო ნაშრომი ქართულ და ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსში ომის კონცეპტუალური მეტაფორების შესახებ (2009).

უნდა აღვნიშნოთ, რომ კონცეპტუალური მეტაფორების ომის კონცეპტთან მიმართებაში განხილვისას, „ომი“ შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც წყარო დომენი (Koller, 2004; Lakoff and Johnson, 1980) (კონცეპტი „ომი“ ხსნის სხვა კონცეპტებს, მაგ. „ბიზნესი როგორც ომი“), ან როგორც სამიზნე დომენი (Underhill 2003; Lakoff 1992) (კონცეპტი „ომი“ აიხსნება სხვა კონცეპტებით, მაგ, „ომი, როგორც სპორტი/თამაში“). წინამდებარე სტატიაში „ომი“ სამიზნე დომენია, რომელიც სხვადასხვა წყარო დომენებით არის კონცეპტუალიზებული.

შედეგად, როლი, რომელსაც კონცეპტუალური მეტაფორა ასრულებს სტერეოტიპული გენდერული იდენტობების კონსტრუირებისას, სამი მიმართულებით შეიძლება წარიმართოს: 1) გენდერით განპირობებული მეტაფორების განხილვა, რომლებიც ძირითადად მამაკაცი დისკურსის მონაწილეთა მიერ რეალობის აღქმის გამოცდილებებზეა დაფუძნებული. ისინი ამტკიცებენ ძალის ასიმეტრიას დისკურსში; 2) მეტაფორები, რომლებიც ქალსა და მამაკაცს აღწერენ, მათ წარმოგვიდგენენ დისკურსში; 3) მეტაფორები, რომლებსაც ქალი და მამაკაცი უპირატესობას ანიჭებენ რეალობის განსაზღვრისას დისკურსში. ჩვენი კვლევა ძირითადად მესამე ასპექტზეა ორიენტირებული.

3. კვლევის მეთოდი

სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომების ერთობლიობიდან, წინამდებარე კვლევა ეყრდნობა კრიტიკული დისკურს-ანალიზის და კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის შესატყვის მეთოდოლოგიურ ჩარჩოს. ამ მხრივ, მეტაფორის აღნიშნული თეორიის მეთოდოლოგიური აპარატი (მეტაფორის დომენების შესახებ) ჩართულია დისკურსის კრიტიკულ ანალიზში, რათა განისაზღვროს მეტაფორების როლი სოციალური რეალობის კონცეპტუალიზაციაში (Charteris-Balck 2004; Musolff 2004). მეთოდი არის ძირითადად თვისობრივ-მანუალური, თუმცა შეიცავს კვანტიტატურ (რაოდენობრივ) ელემენტს კონცეპტუალური მეტაფორის პროდუქტიულობა/სისტემატურობის განსაზღვრის სახით. კვლევის პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისგან: ***(1) კვლევის მიზნის განსაზღვრა; (2) რელევანტური წყაროების შერჩევა; (3) ტექსტების დეტალური წაკითხვა ლინგვისტური მეტაფორების იდენტიფიცირების მიზნით; (4) კონცეპტუალური მეტაფორების იდენტიფიცირება და მათი სისტემატურობის/პროდუქტიულობის განსაზღვრა; (5) შედეგების ინტერპრეტაცია.***

კვლევის შედეგების განმტკიცებისთვის გამოვიყენეთ **Brigham Young University Corpora** (BYU), რომელიც რამდენიმე კორპუსის გაერთიანებაა: COCA-the Corpus of Contemporary American English, COHA – Corpus of Historical American English, NOW Corpus – News on the web, GLOWBE – Corpus of Web-based English, BYU-BNC – British National Corpus (http://corpus.byu.edu/). BYU კორპუსზე წვდომა თავისუფალია მკვლევრებისთვის, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანი პირობა იყო. ამასთანავე, აღნიშნული კორპუსი ჟანრობრივად მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. სამიზნე ლექსიკური ერთეულების/ტოკენების კონკორდანსი კონტექსტურად შევისწავლეთ, რათა გამოგვევლინა მეტაფორის

ავტორი გენდერის მიხედვით, რადგან თვითონ კორპუსს აღნიშნული ფილტრი არ გააჩნია. ჩვენ ვერ გამოვიყენეთ კორპუსი Bank of English COUBILD corpus, რადგან მასზე წვდომა თავისუფალი არ არის. საკვლევი ლექსიკური ერთეულების კონკორდანსის ცხრილებიც კონტექსტურად შევისწავლეთ. თუმცა, გენდერული მეტაინფორმაცია არ იყო მითითებული ყველა შემთხვევაში, რაც კვლევის ლიმიტაციას წარმოადგენს.

(1) კვლევის მიზნის განსაზღვრა

წინამდებარე კვლევაში განხილულია ომის კონცეპტუალური მეტაფორები გენდერთან მიმართებაში; უფრო ზუსტად კი, როგორ იქმნება განსხვავებული მსოფლმხედველობები ომის კონცეპტუალური მეტაფორების საშუალებით მედიაში ქალი და მამაკაცი დისკურსის მონაწილეების მიერ.

(2) რელევანტური წყაროს შერჩევა

კვლევის მასალა წარმოდგენილია ადგილობრივი ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გაზეთის *The Georgian Times-ის* 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ამსახველი ტექსტებით. რადგან ამ გაზეთის მხოლოდ ბეჭდური ვერსია მოიპოვება აღნიშნული პერიოდისთვის, ასლები დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პერიოდიკის განყოფილებაში (ნაციონალური ქართული კორპუსი ჯერ სრულად გაციფრებული არ არის, რის გამოც საკვლევი მასალა მანუალურად იქნა შესწავლილი). საკვლევად აღებულია პერიოდი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებიდან (7 აგვისტო) 11 სექტემბრამდე, როდესაც რუსული ჯარი ფაქტობრივად გაიყვანეს საქართველოს ტერიტორიიდან. ომის ამსახველი პირველი სტატიები დაიბეჭდა 11 აგვისტოს. *The Georgian Times* არის ინგლისურენოვანი გაზეთი, რომელიც გვთავაზობს საკითხების რელევანტურ მიმოხილვას მოცემული პერიოდისთვის, ამასთანავე, მსგავსი ტიპის კვლევების დიდი გამოცდილება არსებობს ინგლისურენოვან მასალაზე დაყრდნობით.

კონცეპტუალური მეტაფორების მანუალური ანალიზი, ციფრულ კორპუსზე დაფუძნებულ კვლევასთან შედარებით, გაცილებით შრომატევადია. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავალი მეთოდოლოგიური უპირატესობის მიუხედავად, ციფრულ-კორპუსულ კვლევას ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, გარკვეული ხარვეზიც ჰქონოდა იმის გამო, რომ ლინგვისტური მეტაფორები ტექსტიდან გამოიყოფა კომპიუტერულ პროგრამაში წინასწარ შერჩეულ ლექსიკურ ერ-

თეულებზე დაყრდნობით და შესაძლებელია, ტექსტში არსებობდეს ისეთი ლინგვისტური სტრუქტურები, რომლებიც არ უკავშირდება წინასწარ შერჩეულ დომენებს; ამის გამო, არსებობს ალბათობა, რომ პოტენციური მასალა გაუანალიზებელი დარჩეს. კორპუსული მიდგომით შესაძლებელია, გენდერული რეპრეზენტაციების იდენტიფიცირება და კვლევა სამიზნე ლექსიკური ერთეულების გათვალისწინებით. თუმცა, კორპუსის ავტომატიზებული საძიებელი ვერ გამოარჩევს ლინგვისტური სტრუქტურები ქალის მიერ იქნა ტექსტებში წარმოდგენილი თუ მამაკაცის მიერ. შედეგად, კონცეპტუალური მეტაფორების მანუალური იდენტიფიცირება და გამოვლენა როგორც ტექსტის/ლოკალურ დონეზე, ისე სრული კორპუსის დისკურსულ დონეზე, მეტად მნიშვნელოვანია.

გვინდა ხაზი გავუსვათ ერთ გარემოებას, რომელიც შეეხება გენდერთან ასოცირებულ კორპუსულ კვლევებს. ტრადიციულად, სოციოლინგვისტური კვლევები ემპირიულ მონაცემებს ეფუძნება და კორპუსული კვლევების გენდერთან მიმართებაში გავრცობა ლიმიტირებულია შემდეგი პრობლემების გამო: 1) სოციოლინგვისტური კატეგორიების კორპუსის კატეგორიებთან შეთავსება; 2) კორპუსების უმეტესობას არ აქვს მეტამონაცემები და შესაბამისად, არ ვიცით, ვინ არის ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის „ავტორი"; 3) კორპუსის აგებისას მაგალითების ნაკლებობა (McEnery 2006,108; McEnery and Wilson 2001,116).

საკვლევი კორპუსი წარმოდგენილია აღნიშნულ თემაზე 68 საგაზეთო ტექსტით (სტატია და ინტერვიუ), რომელიც შეადგენს სულ 57267 სიტყვას (იხ. დანართი). ტექსტებში დისკურსის მონაწილენი არიან პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და ექსპერტები, როგორც ქართველები, ისე სხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც აღნიშნული ომის შეფასებას აკეთებენ. აქ კონცეპტუალური მეტაფორები განხილულია ძირითადად გენდერთან მიმართებაში; ამასთანავე, საკვლევი კორპუსის ყველა ტექსტის ერთობლიობა განაპირობებს დისკურსის ფორმირებას, რომლის წიაღიდანაც გამოვყავით და შემდგომ გავაანალიზეთ ზოგადი კონცეპტუალური მეტაფორები. ეს მეტაფორები ატარებს უნივერსალურ ხასიათს და შესაძლებელია, წარმოაჩენდეს ფარულ გენდერულ იდეოლოგიას (Lakoff and Johnson 1980). საკვლევი კორპუსი წარმოდგენილია ორი ქვეკორპუსით: ქვეკორპუსი A (28328 სიტყვა – ტექსტები ქალ დისკურსის მონაწილეებს ეკუთვნის) და ქვეკორპუსი B (28939 სიტყვა – ტექსტები მამაკაც დისკურსის მონაწილეებს ეკუთვნის). საკვლევი კორპუსის ტექსტები კოდირებულია [GT 1]-დან [GT 68] – მდე გაზეთისთვის *The Georgian Times* (იხ.დანართი).

(3) ტექსტების დეტალური წაკითხვა ლინგვისტური მეტაფორების იდენტიფიცირების მიზნით

მეთოდის ამ ეტაპზე განვახორციელეთ შერჩეული ტექსტების დეტალური წაკითხვა მამაკაცი და ქალი დისკურსის მონაწილეების მიერ დისკურსში რეალიზებული ლინგვისტური მეტაფორების იდენტიფიკაციის მიზნით, რომლებიც ომს შეეხებოდა. „იმისათვის, რომ დავადგინოთ კონცეპტუალური მეტაფორები, რომლებიც საფუძვლად უდევს ლინგვისტურ მეტაფორებს, აუცილებელია, შევისწავლოთ ის *ლინგვისტური მეტაფორები,* რომლებიც მათ არსებობაზე მიუთითებენ" (Kovecses 2010,4). სწორედ ლინგვისტური სტრუქტურის/ფრაზის მეტაფორული ღირებულების დადგენის მიზნით პრაგლეჯაზ (Pragglejaz 2007) ჯგუფმა შეიმუშავა ***მეტაფორის ამოცნობის*** 5-საფეხურიანი ***პროცედურის* (მაპ),** რომლის მიზანია სამიზნე ლექსიკური ერთეულის ძირითად და კონტექსტურ მნიშვნელობებს შორის კონტრასტის დადგენა (Kovecses 2010, 5). თუ ახალი კონტექსტური მნიშვნელობა ძირითადი მნიშვნელობისგან განსხვავებული და მისი საწინააღმდეგოა, ლექსიკური ერთეული მეტაფორულია. Macmillan English Dictionary for Advanced Learners და Cambridge Advanced Learner's Dictionary არის ლექსიკონები, რომელიც პრაგლეჯაზ ჯგუფის მიერ იქნა შემოთავაზებული ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის შემოწმებისა და დადგენის მიზნით.[3]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მაპ-ზე დაყრდნობით საგაზეთო ტექსტებიდან გამოვყავით როგორც ტრადიციული, ისე ახალი ლინგვისტური მეტაფორები. შედეგად მივიღეთ, 34 მეტაფორული მნიშვნელობის ლექსიკური ერთეული თუ ფრაზა, რომლებიც ომის კონცეპტუალიზაციას ახდენენ დისკურსში.

(4) კონცეპტუალური მეტაფორების იდენტიფიცირება და მათი სისტემატურობა/ პროდუქტიულობის განსაზღვრა

მეთოდის ამ ეტაპზე, მას შემდეგ რაც მოვახდინეთ ლინგვისტური მეტაფორების იდენტიფიცირება, ფოკუსი გადავიტანეთ კონცეპტუალური მეტაფორების გამოვლენაზე, რომლებიც აღნიშნული ლინგვისტური მეტაფორების კოგნიტური საფუძველია. ლინგვისტურ და კონცეპტუალურ მეტაფორებს შორის ურთიერთმიმართება შესაძლებელია შემდეგნაირად ავხსნათ: „ლინგვისტური მეტაფორული გამო-

3 ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობები გადავამოწმეთ სხვა დიდ ლექსიკონებშიც, მაგ. Collins Online, რომლის ბეჭდური ვერსია 1918 წლიდან არსებობს. შედეგები, რა თქმა უნდა, მსგავსია, თუ იდენტური არა.

ნათქვამები (ვერბალური საშუალებანი) არის კონცეპტუალური მეტაფორების (კოგნიტური საშუალებების) ექსპლიკაცია, დისკურსული მანიფესტაცია. ასეც შეიძლება ითქვას, რომ ენობრივი საშუალებანი სწორედ რომ ამჟღავნებენ ადამიანის გონებაში არსებულ კონცეპტუალურ მოდელებს“ (Kovecses 2010,7).

ტრადიციულად, ლინგვისტური მეტაფორა შედგება ორი ნაწილისგან *tenor*-შედარების ობიექტი და *vehicle*-მეტაფორის ღერძი (Richards 1936), რომლებიც ლაკოფის და ჯონსონის მიერ დამკვიდრებული კონცეპტუალური მეტაფორის *სამიზნე* და *წყარო* დომენებს შეესაბამება (1980). აღსანიშნავია, რომ კოგნიტური სემანტიკისათვის რაღაცის ***ცნება*** ან ***კონცეპტი*** გონებაში განცალკევებული, დამოუკიდებელი სახით კი არ არსებობს, არამედ ის ასოცირდება ადამიანის კოჰერენტულად ორგანიზებული გამოცდილებების სქემასთან და ცოდნასთან, რასაც ***კონცეპტუალური დომენი*** ეწოდება (Langacker 1987, Lakoff 1987). კონცეპტუალური მეტაფორა კი შედგება ***სამიზნე*** და ***წყარო დომენებისაგან*** *(“target and source domains“).* ტრადიციული ტერმინები ვერ ხსნიან ურთიერთმიმართებას მეტაფორის ნაწილებს შორის, მაშინ, როდესაც კოგნიტური თვალსაზრისით „წყარო დომენის საშუალებით ხდება სამიზნე დომენის ახსნა, კონცეპტუალიზაცია“ (Kovecses 2010). მაგალითისთვის განვიხილოთ ლინგვისტური მეტაფორა „You are **wasting** my **time**“, სადაც ლექსიკური ერთეული **‘time’** არის შედარების ობიექტი, ხოლო ‘wasting’ არის მეტაფორის ღერძი, რადგან ის ‘დროს’ მიანიჭებს ისეთ თვისებას, როგორიცაა ‘ხარჯვა’. აღნიშნული კი ძირითადი მნიშვნელობით შეეხება ლექსიკურ ერთეულს ‘ფული’, კონეტქსტუალური მნიშვნელობით კი ეს თვისება მიენიჭება ‘დროს’, რის გამოც გამოთქმა მეტაფორულია. ლაკოფის და ჯონსონის მეპინგის მიხედვით ‘**დრო’** არის სამიზნე დომენი (აბსტრაქტული კონცეპტი), რომელიც აიხსნება კონკტერული წყარო დომენით **‘ფული’.** შედეგად ვიღებთ კონცეპტუალურ მეტაფორას **დრო ფულია**. ჩვენს კვლევაში წარმოდგენილია კონცეპტუალური მეტაფორები, რომელთა წყარო დომენები ახდენენ სამიზნე დომენ ‘ომის’ კონცეპტუალიზაციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ იდენტიფიცირებული 34 მეტაფორული მნიშვნელობის გამოთქმა შეიცავს მეტაფორის ღერძს, რომელიც მიუთითებს იმ წყარო დომენზე, რომელიც ახდენს სამიზნე დომენ ‘ომის’ კონცეპტუალიზაციას. კონცეპტუალური მეტაფორების გამოვლენა ეფუძნება ***წყარო და სამიზნე დომენების მეპინგს***, რომელიც აღნიშნულ დომენებს შორის ურთიერთმიმართების დადგენას გულისხმობს. შესაბამისად, ამ ეტაპზე ასევე მოვახდინეთ მეტაფორული ლექსემების კატეგორიზაცია განსხვავებული წყარო

დომენების მიხედვით, შემდეგ კი დომენთაშორისი მეპინგის საშუალებით გამოვავლინეთ კონცეპტუალური მეტაფორები.

რაც შეეხება კონცეპტუალური მეტაფორის სისტემატურობას, კამერონი განასხვავებს ***ლოკალურ, გლობალურ*** და ***დისკურსულ*** სისტემატურობას (Cameron 1999,16). *ლოკალური სისტემატურობა* ასახავს კონცეპტუალური მეტაფორის განვითარება-რეალიზაციას ტექსტის დონეზე, *გლობალური სისტემატურობა* კი კონცეპტუალურ მეტაფორებს გამოყოფს სხვადასხვა დისკურსის წიაღიდან. *დისკურსული სისტემატურობა* ზემოაღნიშნული ორი ტიპის სისტემატურობას შორის მოიაზრება. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ქვედა ტექსტის დონის კონცეპტუალური მეტაფორები, რომელსაც ვუწოდებთ ***ტექსტთან ბმულ კონცეპტუალურ მეტაფორებს.*** ტექსტთან ბმული კონცეპტუალური მეტაფორების დამუშავება დისკურსულ დონეზე (სხვადასხვა ტექსტებიდან ამოღებული მეტაფორების კატეგორიზაცია წყარო დომენების მიხედვით) გვაძლევს ზოგად კონცეპტუალურ მეტაფორებს, რომელსაც ვუწოდებთ ***დისკურსთან ბმულ კონცეპტუალურ მეტაფორებს.*** კონცეპტუალური მეტაფორების სისტემატურობის/ პროდუქტიულობის ხარისხის დასადგენად ადაპტირდა ვერონიკა კოლერის მეთოდი (Koller 2009), რომელიც მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

1. თითოეულ წყარო დომენში შემავალი ლექსიკური ერთეულების სიხშირის და პროცენტული მაჩვენებლის გამოთვლა, რომელიც გვიჩვენებს ქალისა და მამაკაცის დისკურსში მეტაფორის სისტემატურობა/ პროდუქტიულობას;
2. ინდივიდუალური მეტაფორული გამოთქმების რაოდენობის გამოთვლა;
3. მეტაფორული TTR[4]-ის გამოთვლა, რაც გვიჩვენებს მეტაფორული ლექსემის ვარიაციულობის ხარისხს;
4. ქალისა და მამაკაცის დისკურსში მეტაფორული სიხშირის[5] გამოთვლა ყოველ 1000 სიტყვაზე;

კვლევის ამ საფეხურს მოჰყვება *(5) შედეგების ინტერპრეტაცია და დასკვნები.*

4 mTTR (The metaphoric Type-Token ratio) განსხვავებული ლემების (ლექსიკური ერთეულების) რაოდენობა იყოფა თითოეული ლემის სიხშირეზე, რაც ლექსიკური მრავალფეროვნების მარკერია. რაც უფრო მაღალია მარკერი, მით უფრო მრავალფეროვანია დისკურსი ლექსიკურად.

5 გარკვეული მეტაფორების ტოკენების სრული რაოდენობა იყოფა ქალის/მამაკაცის დისკურსის საკვლევი მინიკორპუსის ლექსიკური ერთეულების სრულ რაოდენობაზე.

4. შედეგები

4.1 ლინგვისტური მეტაფორული გამოთქმები

ჩვენმა კვლევამ მეტაფორის ამოცნობის პროცედურის საშუალებით გამოავლინა 34 მეტაფორული ლექსემის კომბინაცია, რომელიც ახდენს მეტაფორების რეალიზაციას დისკურსში. აღნიშნული კი სამიზნე და წყარო დომენების მეპინგის მიხედვით კონცეპურლური მეტაფორების დადგენის წინარე ეტაპია.

ცხრილი 1. ორივე ქვეკორპუსის ბაზაზე მოძიებული მეტაფორული გამოთქმები

მეტაფორული გამოთქმები	
expansionist gambit	flare up
play a dangerous game	Ethnic cleansing
the world's biggest player	cleansing operation
a game of Russian Roulette	flush out
zero sum game	torrent of refugees
unleash offensive	flow of refugees
the wolf that ate Georgia	war erupted
push (the boundaries of intervention)	break out
stretch (the boundaries of intervention)	spill-over combat
expansion exercise	spiral out of control
adventure in assault	batter neighbour
sheepish heroes	razed to the ground
cope with the challenges	death rain
defense campaign	resolve the conflict
safeguard lives	solution to the current crisis
respond to threats	campaign of killing
retaliatory fire	violate territorial integrity

დავიწყოთ ლექსიკური ერთეულით "gambit". აღნიშნული სიტყვის ძირითადი მნიშვნელობაა ჭადრაკის თამაშის დროს საწყისი სვლა, როდესაც მოთამაშე რისკავს ერთ ან რამდენიმე ფიგურას, რათა მოიპოვოს ხელსაყრელი პოზიცია. მაგალითში (1) ფრაზის „გამავრცობელი გამბიტი" კონტექსტური მნიშვნელობა არის „სამხედრო ინტერვენცია," რომელიც ჭადრაკის სვლის მსგავსად მეომარი ქვეყნის ხელსაყრელი

პოზიციის დაკავებას განაპირობებს საზღვრების გაფართოება/გავრცობის მიზნით. აღნიშნულ შემთხვევაში „გამბიტი“ ახალ კონტექსტურ მნიშვნელობას იძენს, რაც მას მეტაფორის სახით წარმოგვიდგენს.

(1) *How NATO responded and will continue to react to* ***the expansionist gambit*** of its former adversary towards NATO's closest de facto ally, will have a lot to say about the relevance of the alliances [GT 33]

მაგალითში (2) პუტინი წარმოდგენილია, როგორც არაკეთილსინდისიერი მოთამაშე, რომელმაც „ოსტატურად“ ჩააბა „მოთამაშე“ საქართველო „რუსული რულეტის თამაშში.“ ამასთანავე, ის ერთადერთია, რომელიც თამაშში გამარჯვებულს წარმოადგენს. ლექსემის „მოთამაშე“ კონტექსტური მნიშვნელობაა „მეომარი ქვეყანა,“ რომელიც ძირითადი მნიშვნელობისგან განსხვავებულია („ადამიანი, რომელიც სპორტულ ღონისძიებაში იღებს მონაწილეობას“) და მას მეტაფორად აქცევს. მეორე ლინგვისტური გამოთქმა, რომელიც უნდა გავაანალიზოთ, არის „თამაში ნულოვანი ჯამით,“ რომლის კონტექსტური მნიშვნელობაა „ომის შედეგი, როდესაც ერთი ქვეყნის დაკარგული ტერიტორია (საქართველო), მეორე ქვეყნის (რუსეთის) „მონაპოვარი“ ხდება თამაშის თეორიის მიხედვით. კონტექსტური მნიშვნელობა ფრაზას "zero sum game", რომლის ძირითადი მნიშვნელობა ომთან არ არის დაკავშირებული, მეტაფორად წარმოაჩენს დისკურსში.

(2) *As it stands now, Putin has manipulated* ***the player in the verbal game of Russian Roulette,*** *where only he is deciding…who is to win and who is to lose in* ***a zero sum game*** [GT 35]

შემდეგ ამონარიდში ჩვენს ფოკუსშია ლექსემა "unleash", რომლის ძირითადი მნიშვნელობაა "to give freedom to an animal by setting the leash/lead loose". აღნიშნულ კონტექსტში კი სამხედროების გარკვეულ რაოდენობას ენიჭება სრული თავისუფლება, რომ თავს დაესხას და მხეცურად შეებრძოლოს მეორე ქვეყანას. ახალი კონტექსტური მნიშვნელობა ლექსემას მეტაფორულ დატვირთვას ანიჭებს.

(3) *The Russian captured Tskhinvali, then* ***unleashed their offensive nationwide*** [GT 25]

მტრის მხეცთან შედარება თვალნათელია შემდეგ ფრაზაშიც: "The wolf that ate Georgia" [GT 57], სადაც რუსეთი შედარებულია მგელთან, რომელიც დაუნდობლად ჭამს კრავს – საქართველოს.

ლინგვისტური გამოთქმები, რომელიც მოცემულია მაგალითში (4) წარმოადგენს მეტაფორულ ურთიერთმიმართებას, რომელიც ეფუძნება ზმნებს "push" და "stretch"

(4) *"What will stop Russia" cites the political analyst : "In the last few days*

the Kremlin has been ***pushing the boundaries of military intervention*** *to see how far they would be allowed* ***to stretch***" [GT 14]

ზმნის "push" ძირითადი მნიშვნელობაა "to use hands, arms or body to make some part of a body move into a particular position", რაც შეეხება ზმნას "stretch", მისი ძირითადი მნიშვნელობაა "to make sth. longer by expanding it". აღნიშნულ მაგალითში ზმნები „ბიძგება, მიწოლა" და „გაჭიმვა, გაწელვა, გავრცობა" არის წყარო დომენის „ვარჯიში" ლექსიკური ერთეულები, რომელიც სხეულის ნაწილების გაჭიმვას, გავრცობას გულისხმობს. ამ კონტექსტში აღნიშნული ზმნები გულისხმობს რუსეთის მიერ „სამხედრო ინტერვენციის" განხორციელებას, რომლის მიზანია, განავრცოს საზღვრები და მოიპოვოს კონტროლი საქართველოს ტერიტორიაზე ხისტი ძალის გამოყენებით იმდენად შორს, რამდენადაც ეს შესაძლებელია. სამხედრო ინტერვენცია „გამავრცობელი ვარჯიში" ხდება ("expansion exercise"). შესაბამისად, სახეზე გვაქვს აღნიშნული ზმნების მეტაფორული დატვირთვა.

რალფ ჰალბიგი თავის სტატიაში, "It doesn't matter who began war because that is a childish question which attempts to skirt the problems", აფასებს აღნიშნულ რეგიონში შეიარაღებულ კონფლიქტს. ის ოსებს მოიხსენიებს, როგორც „ბრიყვ გმირებს", რომლებმაც რუსეთის სამხედრო ძალებთან ერთად ომი წამოიწყეს საქართველოს წინააღმდეგ.

(5) *…the* ***sheepish heroes*** *of the mountains have now undertaken their risky and inequitable* ***adventure in assault*** [GT 45]

აქ ყურადღებას ვამახვილებთ ფრაზაზე "adventure in assault", სადაც ლექსემის "adventure" კონტექსტური მნიშვნელობაა "a risky military endeavor to attack the country the part of which they used to be". თუმცა, აქ მას უარყოფითი კონოტაციაა აქვს, რადგან ზედსართავი სახელი "inequitable" ხაზს უსვამს ომის გაუმართლებელ ხასიათს. შემდეგი ფრაზაა 'sheepish heroes', სადაც ლექსემის 'hero' ძირითადი მნიშვნელობაა: "a person who is admired by many people for doing something brave or good". აღნიშნულის მიუხედავად, იგივეს ვერ ვიტყოდით მის კონტექსტურ მნიშვნელობაზე, რადგან ამ ხალხს საგმირო საქმე არ ჩაუდენია. უფრო მეტიც, ზედსართავი სახელი "sheepish" ირონიულ ელფერს ანიჭებს ლექსიკურ ერთეულს 'hero', რომელიც ჩართულია 'ომის თავგადასავალში'. *თავგადასავალი* და *გამოწვევა* ომის დამახასიათებელი თვისებები ხდება ფრაზაში "cope with the challenges [of war]".

ვახტანგ მაისაია, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ასოციაციის თავმჯდომარე, სტატიაში "Why and How Georgia Overlooked the Russia's Aggression?" აფასებს საქართველოს სამხედრო აქტივობას რუსეთის აგრესიის მიმართ.

(6) *However, before touching on the concrete facts of the Russian planned incursion, it is more adequate to underscore what were the reasons of our military misuse in waging* ***a military defense campaign*** *against Russian Troops* [GT 68]

ამ ამონარიდში სამიზნე ფრაზაა "a military defense campaign", რომლის ღერძსაც წარმოადგენს ლექსიკური ერთეული 'campaign' და რომელსაც თან ახლავს დამხმარე კონცეპტები 'military' და 'defense'. ტექსტის კონტექსტი გვკარნახობს, რომ საქართველომ აწარმოა თავდაცვითი სამხედრო ქმედებები რუსეთის წინააღმდეგ ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონო შემოჭრის საპასუხოდ. რაც შეეხება სიტყვის 'campaign' ძირითად მნიშვნელობას, ის აღნიშნავს 'a series of planned activities that are intended to achieve a particular social, commercial or political aim'. ამონარიდის კონტექსტი კი გვკარნახობს, რომ საქართველომ აწარმოა თავდაცვითი სამხედრო ქმედებები რუსეთის წინააღმდეგ ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონო შემოჭრის საპასუხოდ. საომარი მოქმედებების თავდაცვითი ხასიათი ჩანს ფრაზებში: "safeguard lives", "retaliatory fire" და "respond to threats."

შემდეგი ლინგვისტური მეტაფორა, რომელიც საკვლევ კორპუსში გვხვდება არის ***„hostilities flaring up"*** (მაგალითი 7). ფრაზული ზმნის ძირითადი მნიშვნელობაა: "to suddenly start burning more brightly (of flames, a fire, etc.), to burst into intense, sudden flame, to intensify especially after having died down". თუმცა აღნიშნულ კონტექსტში მნიშვნელობა შეეხება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუარესებას საომარი მოქმედებების გამძაფრების გამო.

(7) *The sight of* ***hostilities flaring up*** *on the doorstep also prompted European leaders to take action* [GT 1]

სტატიაში "GORI – the Town Which Has Survived" ქალი ჟურნალისტი საუბრობს საომარ მოქმედებებზე, რომელიც 26 აგვისტოს განახორციელა რუსეთმა, რათა აღენიშნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების – აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის – დამოუკიდებლობა. ლინგვისტური მეტაფორული გამოთქმები აღნიშნულია მაგალითში (8).

ლექსიკური ერთეულის "flush out" (გამორეცხვა) ძირითადი მნიშვნელობა განმარტებულია შემდეგნაირად: "to clean sth by causing water to pass through it". რაც შეეხება აღნიშნული ფრაზული ზმნის კონტექსტურ მნიშვნელობას, ის შემდეგია: "to force a person or an animal to leave the place where they are hiding or dwelling", რაც აღნიშნულ ფრაზულ ზმნას მეტაფორად აქცევს. რაც შეეხება ფრაზას 'cleansing operation', მეორე მეტაფორაა, რომელსაც ზედსართავი სახელი 'cleansing' ანიჭებს

მეტაფორულ ელფერს. აღნიშნულის ძირითადი მნიშვნელობაა 'to clean the skin or wound, to take the impurities off the surface', კონტექსტი მის მნიშვნელობას ცვლის 'to force the people abandon their residence through military operatio', რის გამოც იგი მეტაფორულ გამოთქმად წარმოჩნდება დისკურსში.

(8) *Russian "storm troopers" "…conducted one more* ***cleansing operation*** *and* ***flushed*** *the old people still remaining in their houses* ***out*** *of the gorge"* [GT 46]

ადამიანების ხეობიდან 'გამორეცხვამ' გამოიწვია იძულებით გადაადგილებულ პირთა ნაკადი ('დინება, ნიაღვარი') ***„torrent of refugees"*** *or* ***„flow of refugees"*** [GT 46], რომელიც ზემოხსენებული მეტაფორის ერთ-ერთი ვარიაციაა. ლექსიკური ერთეულის 'torrent' ძირითადი მნიშვნელობაა 'a large amount of water moving very quickly'. კონტექსტი კი მას ახალ დატვირთვას აძლევს აღნიშნავს 'people's rapid movement from one place to another as a result of war hostile operation'.

ქალი პოლიტიკოსი, ოპოზიციური პარტიის ლიდერი, ქვემოთ მოყვანილ ტექსტში აფასებს რუსეთ-საქართველოს ომს და ამ შეფასებაში შეიმჩნევა ლინგვისტური მეტაფორა "war erupted" ("ომი ამოიფრქვა").

(9) *I used to say that had war* ***erupted*** *in Georgia, Abkhazia and South Ossetia would be a part of that war. But I could not imagine that actions would be unfolded on such a large scale* [GT 25]

ლექსიკონში დაფიქსირებულია ზმნის "erupt" ძირითადი მნიშვნელობა: "To throw or force something out violently, as lava, ash, and gases". კონტექსტი კი მნიშვნელობას უცვლის აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულს, რადგან იგი აღნიშნავს ომის დაწყებას, დროს, როდესაც დაძაბულობა ორ ქვეყანას შორის კრიტიკულ ნიშნულს აღწევს. იგივე შეიძლება ითქვას შემდეგ ფრაზებზე: "war broke out" და "spill-over combat".

შემდეგი მეტაფორული ფრაზა, რომელიც უნდა განვიხილოთ, არის "***violence could quickly spiral out of control"*** (მაგალითი 10). ლექსიკური ერთეული რომელიც უნდა გავაანალიზოთ არის "spiral", რადგან ის ამყარებს მეტაფორულ ურთიერთმიმართებას ლექსიკურ ერთეულებს შორის. აღნიშნული სიტყვის ძირითადი მნიშვნელობაა: "to move in continuous circles, going upwards or downwards", თუმცა კონტექსტის მიხედვით ის აღწერს ძალადობას, რომელიც სპირალური მოძრაობით არ ხასიათდება და სწორედ ამიტომ ის მეტაფორულია შემდეგ ფრაზებთან ერთად: "batter the neighbour", "Gori – the town razed to the ground"[GT 15].

(10) *All the negotiations have been stalled since summer 2006 contributing to increasing tensions and the likelihood that any* ***violence could quickly spiral out of control*** *is rising* [GT9]

შემდეგი ფრაზები, რომლებსაც გავაანალიზებთ, წარმოდგენილია მაგალითებში 11 და 12.

(11) *They are just bullets now! Directed at innocent people – the bullets that have killed the parents of the displaced children living beside me!!! ... I do believe that God will stop* ***the death rain*** *and soon a kind rainbow will appear shining again* [GT 64]

(12) *We Hope a Kind Rainbow Will Replace* ***the Death Rain*** *Soon* [GT 64]

ლინგვისტური გამონათქვამი, რომელზედაც შევაჩერებთ ყურადღებას, არის 'the death rain'. აქ მეტაფორის ღერძი არის 'rain', რომელიც კონტექსტის მიხედვით ტყვიებს აღნიშნავს. გაზედსართავებული სახელი 'death' კი როგორც ძირითადი, ისე კონტექსტური მნიშვნელობით აღნიშნავს რაღაცას, რაც იწვევს სიკვდილს.

ლექსიკური ერთეულის 'violate' ძირითადი მნიშვნელობაა "to go against or refuse to obey a law, disturb or not respect someone's privacy". თუმცა, ომის კონტექსტის გათვალისწინებით, ის აღნიშნავს ერთი ქვეყნის სამხედრო ძალების უკანონო შეღწევას მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე, რაც გამოთქმას მეტაფორულს ხდის. რაც შეეხება ლექსიკურ ერთეულს 'campaign', მისი ძირითადი მნიშვნელობაა "a series of planned activities to achieve a particular social, commercial or political aim." მას მეტაფორულ მნიშვნელობას ანიჭებს ლექსიკური ერთეული "killing", რომელიც აღნიშნულ კამპანიას კრიმინალურ ელფერს შესძენს.

და ბოლო ფრაზები, რომლებსაც განვიხილავთ, არის: "solution to the current crisis" და "resolve the conflict." ლექსიკური ერთეულები, რომლებიც გაანალიზებას საჭიროებს არის 'solution' და 'resolve'. მათი ძირითადი მნიშვნელობაა 'to find a method or process of dealing with a problem'. აღნიშნულ კონტექსტში კი 'პრობლემის/ამოცანის' თვისებები მიეწერება 'ომს', რომელიც რთული ამოცანის მსგავსად ამოხსნას/გადაჭრას საჭიროებს, რათა ქვეყანა საომარი კრიზისიდან გამოვიდეს; აღნიშნულის გამო ფრაზები მეტაფორულ დატვირთვას იძენს.

ყველა ზემოთ განხილული მეტაფორული გამოთქმა ძირითადად ტრადიციული მეტაფორული მოდელებია, რადგან ლექსიკონში დაფიქსირებულია როგორც ძირითადი, ისე კონტექსტური მნიშვნელობა.

4.2 ომის კონცეპტუალური მეტაფორები

კონცეპტუალური მეტაფორების იდენტიფიცირება, როგორც მეთოდოლოგიის ნაწილშიც აღვნიშნეთ, ეფუძნება წყარო და სამიზნე დომენების მეპინგს, რომელიც გულისხმობს ერთი ცნების ახსნას მეორე ცნების საშუალებით (Lakoff and Johnson 1980). კონცეპტუალური მეტაფორების ამოცნობა, როგორც მეთოდოლოგიის ნაწილშიც აღვნიშნეთ, ეფუძნება წყარო და სამიზნე დომენების მეპინგს, რომელიც გულისხმობს ერთი ცნების ახსნას მეორე ცნების საშუალებით (Lakoff and Johnson 1980). აღნიშნულის განხორციელებისთვის, ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ შემდეგ პროცედურებზე:

- კონცეპტუალური მეტაფორის წყარო დომენის დადგენა;
- მეტაფორული ლექსიკური ერთეულების კატეგორიზაცია სხვადასხვა წყარო დომენის მიხედვით;
- წყარო და სამიზნე დომენების მეპინგი.

კონცეპტუალური მეტაფორის წყარო დომენზე მიუთითებს ლინგვისტური მეტაფორის ღერძული ნაწილი – vehicle, რომელსაც შედარების ფუნქცია აკისრია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ლინგვისტურ მეტაფორებში არსებობს ორი ტიპის ურთიერთმიმართება: 1. ურთიერთმიმართება, რომელიც ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს წყარო დომენზე; 2. ორაზროვანი ურთიერთმიმართება, რომელიც რამდენიმე წყარო დომენს შორის არჩევანის წინაშე გვაყენებს (Shaikh et al. 2014,215) და, შესაბამისად, არჩევანიც შედარებით სუბიექტური იქნება.

მეტაფორული გამოთქმა ‘expansionist gambit’/’გამავრცობელი გამბიტი’ (არსებითული მეტაფორა, რომელიც განსაზღვრულია დამხმარე კონცეპტით ‘expansionist’ მაგ.1) მიუთითებს იმაზე, რომ ‘military intervention’/’ სამხედრო ინტერვენცია’ ჭადრაკის სვლის მსგავსად მანევრია, რომელიც მეომარი ქვეყნის წინსვლას და საზღვრების გავრცობას გულისხმობს.

მე-2 ცხრილში წარმოდგენილია წყარო დომენები, რომლებიც ახდენენ ომის კონცეპტუალიზაციას გენდერთან მიმართებაში. მეტაფორების უმეტესობა წარმოდგენილია შემდეგი სახით ‘ომი, როგორც თამაში/სპორტი’. აღნიშნული წყარო დომენი (სპორტი/თამაში) დისკურსში შემდეგი ლექსიკური ერთეულებით არის რეალიზებული: ‘gambit’, ‘player’, ‘game’, ‘play’, ‘push’, ‘stretch’, ‘exercise’.

მე-2 მაგალითში კი პუტინი წარმოდგენილია, როგორც ‘თაღლითი მოთამაშე’, რომელმაც ომის ქარცეცხლში, ‘რუსული რულეტის თამაშში’ (არსებითული მეტაფორა) ჩააბა ‘მოთამაშე საქართველო’ (არსებითული მეტაფორა). შედეგად, აღნიშნული ‘სამხედრო ინტერვენცია’

მსგავსია თამაშის ნულოვანი ჯამით / 'zero sum game' (არსებითული მეტაფორა), როდესაც ერთი ქვეყნის დაკარგული ტერიტორია ხდება მეორე ქვეყნის 'მონაპოვარი'. ამ შემთხვევაში კონცეპტუალური კავშირი მყარდება საომარ მოქმედებებს და თამაშს შორის, ასევე მეომარ ქვეყანასა და მოთამაშეს შორის.

ცხრილი 2. ომის კონცეპტუალიზაციის წყარო დომენები

წყარო დომენი	**მეტაფორები**	**ცალკეული სიხშირე მამაკაცის დისკურსში**	**ცალკეული სიხშირე ქალის დისკურსში**
თამაში/სპორტი	expansionist gambit (the world's biggest) player a game of Russian Roulette zero sum game play a dangerous game push stretch expansion exercise	3 8 2 2 7 1 1 1	
თავდაცვა	defense campaign safeguard lives retaliatory fire respond to the threats	4 1 2 1	
დანაშაული	violate territorial integrity campaign of killing	4 1	1
პრობლემა	solution to the current crisis resolve the conflict	5 4	2
თავგადასავალი	adventure in assault cope with the challenge heepish heroes	1 8 1	
მხეცი	unleash offensive the wolf that ate Georgia	4 2	

ბუნებრივი კატასტროფა	*ცეცხლი*	hostilities flare up		1
	ვულკანი	Erupt break out spill-over combat	2 2 1	5
	ტორნადო *გრიგალი*	(violence) spiral out (the city) razed to the ground batter the neighbor	1	2 2
	წყალდიდობა	death rain flush out torrent of refugees flow of refugees cleansing operation Ethnic cleansing	4	3 4 5 3 1 2

რაც შეეხება ლექსიკურ ერთეულებს 'push', 'stretch', 'expansion exercise' (მაგალითი 4), ისინიც სპორტის/თამაშის ზოგად წყარო დომენს მიეკუთვნება, რომლებიც ახდენენ საომარი მოქმედებების და სამხედრო ძალების სტრატეგიული გადანაწილების კონცეპტუალიზაციას. სახეზე გვაქვს ტექსტთან ბმული კონცეპტუალური მეტაფორები: ***სამხედრო იერიში გამავრცობელი გამბიტია, სამხედრო იერიში გამავრცობელი ვარჯიშია, ომი რუსული რულეტის თამაშია, მეომარი ქვეყანა მოთამაშეა.*** აღნიშნული ტექსტთან ბმული კონცეპტუალური მეტაფორების გაერთიანება მეპინგზე დაყრდნობით გვაძლევს ზოგად დისკურსთან ბმულ კონცეპტუალურ მეტაფორას: ***ომი თამაშია.*** ეს კონცეპტუალურის მეტაფორა ხაზს უსვამს სტრატეგიულ აზროვნებას, გუნდურ მუშაობას, მზადყოფნას და მაყურებლებს მსოფლიო არენაზე, გამარჯვების ზეიმს, და დამარცხების სირცხვილს" (Lakoff 1992, 473).

მეპინგი: ომი, როგორც თამაში

წყარო დომენი – თამაში	**სამიზნე დომენი – ომი**
თამაშის/შეჯიბრის მონაწილენი	მეომარი ქვეყნები/ძალები/ ჯარისკაცები
თამაშის სვლები	მანევრირება/თავდასხმა/შეჭრა
მოგებული/წაგებული	დამპყრობელი/დამარცხებული
სხეულის მოძრაობები	ძალების სტრატეგიული მოძრაობა/გაადგილება

ფრაზაში 'unleash offensive' კონცეპტუალური კავშირი მყარდება სამხედრო იერიშის დაწყებასა და მხეცის აშვებას შორის. ანდერჰილი აღნიშნავს, რომ პირველად ამ კოგნიტური მეტაფორის ლინგვისტურ

გამოვლინებას ადგილი ჰქონდა შექსპირის ტრაგედიაში „იულიუს კეისარი", სადაც მარკ ენტონი აღნიშნავს "let loose the dogs of war" (cited in Underhill 2003,144). კვლევის მიხედვით, შედარების აღნიშნული ტრადიციული კოგნიტური მოდელი ძირითადად მამაკაცებთან არის დაკავშირებული. ამ შემთხვევაში წყარო დომენია 'მხეცი'. აღნიშნული წყარო დომენი არის შემდეგი მეტაფორის კოგნიტური საფუძველი "the wolf that ate Georgia", სადაც მეომარი ქვეყანა, მისი სამხედრო ძალები გვევლინება, როგორც მხეცი, მგელი. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მტრის დეჰუმანიზაციას.

მეპინგი: ომი, როგორც მხეცი

წყარო დომენი – მხეცი	**სამიზნე დომენი – ომი**
საშიში და გააფთრებული	მზადყოფნაში მყოფი მეომარი ძალები/ ჯარისკაცები
ღვედის ახსნა	აგრესიული ძალა შეუბოჭავი ხდება

შემდეგი მნიშვნელოვანი ზოგადი წყარო დომენი არის 'ბუნებრივი კატასტროფა', რომელიც წარმოდგენილია ქვედომენებით: 'ცეცხლი', 'ვულკანი', 'ტორნადო/გრიგალი' და 'წყალდიდობა'. წყარო დომენი 'ცეცხლი' წარმოდგენილია ლინგვისტური მეტაფორით *„აალებული/ აგიზგიზებული საომარი მოქმედებები"*, სადაც „საომარი მოქმედებები" სამიზნე დომენ „ომის" ლექსიკური ერთეულია. რაც შეეხება მეტაფორის წყარო დომენის დადასტურებას, ლექსიკურ ერთეულს „საომარ მოქმედებები" შესაძლებელია, ჰქონდეს ლექსიკური ერთეულის „ცეცხლი" მსგავსი თვისებები. კოგნიტურ დონეზე საომარი მოქმედებები ცეცხლივით შეიძლება გაძლიერდეს, აალდეს/აგიზგიზდეს. თვისება, რომელიც „კონცეპტუალურ მეპინგს" უდევს საფუძვლად, არის ცეცხლის გაძლიერების, ინტენსივობის მომატების თვისება, რომელიც კოგნიტურ დონეზე ასოცირდება სამიზნე დომენთან „საომარი მოქმედებები". უფრო მეტიც, ანდერჰილი გამოყოფს ლინგვისტურ მეტაფორას: "…to ignite a war", სადაც ლექსიკური ერთეული "to ignite" თავის თავში მოიაზრებს კონცეპტუალურ კავშირს წყარო დომენთან „ცეცხლი" (2004,143). შესაბამისად, "ignite" და "flare up" სინონიმებია და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს წყარო დომენზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგიერთი ურთიერთმიმართებანი ლინგვისტურ მეტაფორაში ცალსახაა წყარო დომენის დამოწმების თვალსაზრისით. ზოგიერთი კი შეიძლება, რამდენიმე წყარო დომენის არსებობის შესაძლებლობას ქმნიდეს. ამის გამო, რელევანტური წყარო დომენის ძიებაში რამდენიმე შესაძლო ვარიანტი გამოდის წინა

პლანზე. აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა განვიხილოთ კონცეპტუალური შედარება სამიზნე დომენ „გამწმენდ ოპერაციასა“ და სავარაუდო წყარო დომენს შორის, რომელიც დაკავშირებულია ლექსიკურ ერთეულთან „გამორეცხვა“. შედარების წყარო შეიძლება იყოს „წყალდიდობა“, რომელსაც შეუძლია ობიექტები/საგნების დაკავებული ადგილიდან გამორეცხვა, ან „ანტისეპტიკი“ (იოდი, პეროქსიდი), რომელიც საზიანო ბაქტერიებს გამორეცხავს ჭრილობიდან. აღნიშნული ორი შესაძლო წყარო დომენი გვთავაზობს ორ ალტერნატიულ კონცეპტუალურ მოდელს/ფრეიმს[6]: **გამწმენდი ოპერაცია წყალდიდობაა** და **გამწმენდი ოპერაცია ანტისეპტიკია.**

სემანტიკურად ლექსიკურ ერთეულს „წყალდიდობა“ აქვს ურყოფითი კონოტაცია მაშინ, როდესაც „ანტისეპტიკი“ უფრო პოზიტიურად არის დატვირთული, რადგან ის ჭრილობას წმენდს/ასუფთავებს. საქართველოს ომის კონტექსტიდან გამომდინარე, „გამწმენდი ოპერაცია“ უფრო ახლოს დგას წყარო დომენთან „წყალდიდობა“, რომელიც ხეობიდან გამოდევნის საქართველოს მოსახლეობას. რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე კი, ალტერნატიული კონცეპტუალური მოდელის მიხედვით, რუსმა ჯარისკაცებმა ანტისეპტკივით გამოდევნეს მათთვის არასაჭირო ხალხი ხეობიდან. შესაბამისად, საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით, რელევანტურია კოგნიტური მოდელი: **გამწმენდი ოპერაცია წყალდიდობაა.**

მეტაფორა ‘cleansing operation’ პირველად გამოჩნდა ბოსნია-ჰერცოგვინას ომის დისკურსში, რაც გულისხმობს ხალხის იძულებით განდევნას მათი საცხოვრებელი ადგილიდან. ამ მნიშვნელობიდან გამომდინარე, ის კონცეპტუალურად ახლოს დგას ფრაზასთან ‘flush out’, რომელიც მსგავს მოქმედებას აღნიშნავს. ამიტომ აღნიშნული ფრაზაც გავაერთიანეთ წყარო დომენში ‘წყალდიდობა’, რომელიც ზოგადი დომენ ‘ბუნებრივი კატასტროფის’ ქვედომენია.

დომენ ‘ბუნებრივი კატასტროფის’ შემდეგი ქვედომენია ‘ვულკანი’. აქ განვიხილავთ ფრაზას ‘war erupted’. ზმნა ‘erupt’/ამოფრქვევა გვაძლევს რამდენიმე წყარო დომენის არსებობის ალბათობას, რადგან “active volcano“, “geyser“, “tooth“ და “rash“ შესაძლებელია ხასიათდებოდეს მოქმედებით “erupt“. შესაბამისად, ოთხი კონცეპტუალური მოდელი გვექნება: *‘საომარი მოქმედებები, როგორც აქტიური ვულკანი/გეიზერი/გამონაყარი/კბილი’.*

6 ჯორჯ ლაკოფი (Lakoff 2002) აღნიშნავს, რომ მეტაფორა ფუნქციონირებს, როგორც კონცეპტუალური მოდელი (*ფრეიმი*) და, შესაბამისად, გავლენას ახდენს ადამიანების განზრახვებზე, დამოკიდებულებებსა და მოქმედებებზე.

ლინგვისტური მეტაფორის ლექსიკური ერთეული "erupt" ძირითადი მნიშვნელობით ასახავს აქტიური ვულკანის ამოფრქვევის პროცესს. კოგნიტურ

დონეზე „აქტიური ვულკანი" წყარო დომენია, რომელიც განსაზღვრავს სამიზნე დომენ „ომს" კონცეპტუალური მეპინგის მიხედვით. აქტიური ვულკანის თვისება, ამოიფრქვეს კრიტიკული წერტილის მიღწევის შემდეგ, გაიგივებულია საომარი მოქმედებების წამოწყებასთან რეგიონში, რომელიც მხარეებს შორის დაძაბულობის ზღვრული მომენტისას იჩენს თავს. სახეზე გვაქვს ტექსტთან ბმული ტრადიციული მეტაფორა.

ომს მოაქვს ნგრევა, დესტრუქცია და სიკვდილი; მისი დაწყება განპირობებულია რეგიონში დაძაბულობის კრიტიკულ ზღვრამდე მიღწევით აქტიური ვულკანის მსგავსად, რომელიც ამოიფრქვევა მაშინ, როდესაც ლავის წნევა კრიტიკულ ნიშნულს მიაღწევს. მეორე ანალოგიური თვისება, რაც ლექსიკურ ერთეულებს „აქტიური ვულკანი" და „ომი" აკავშირებს, არის მათი გამანადგურებელი ძალა. ამიტომ საფრთხეები, რომელსაც საომარი მოქმედებები განაპირობებს, უმეტესწილად ასოცირებულია „აქტიურ ვულკანთან", ვიდრე ლექსიკურ ერთეულებთან: „გეიზერი", „კბილი" და „გამონაყარი".

შემდეგი წყარო დომენი უნდა გამოვყოთ მეტაფორულ ფრაზაში "***violence could quickly spiral out of control***". ლექსიკური ერთეული, რომელიც განხილვას საჭიროებს არის ზმნა "spiral" და ის მეტაფორულ ურთიერთმიმართებას განაპირობებს. სავარაუდო წყარო დომენები, რომლებმაც შეიძლება იტვირთონ შედარების წილი აღნიშნულ კონტექსტში, არის ლექსიკური ერთეული „ტორნადო/გრიგალი", „თვითმფრინავი" ან „მანქანა" (გადასაადგილებელი საშუალება). ფრაზა "spiral out of control" ძირითადად ითქმის გადასაადგილებელ საშუალებებზე, როდესაც პილოტი ან მძღოლი მათ ვერ იმორჩილებს და ისინი უკონტროლო წრიულ მოძრაობას იწყებენ. ლიტერატურაში მოიძიება მაგალითები, რომლებიც აღნიშნულ ფრაზას ტორნადოსთან დაკავშირებით ამბობენ: *"she felt as if a tornado had settled deep in the pit of her stomach and was just starting to spiral out of control"* (Arthur 2008,97), ასევე *"I am a Tornado. Sometimes life situations cause me to spiral out of control"* (Haitz 2014) და "The Red Tornado whizzed out of control over the jungle canopy" (Wood 2011,18).

როგორც ჩანს, არჩევანი უნდა გაკეთდეს შემდეგ ორ კონცეპტუალურ მოდელს/ჩარჩოს შორის: **ომის ძალადობა ტორნადოა/გრიგალია,** ან **ომის ძალადობა კონტროლიდან გამოსული თვითმფრინავია/მანქანაა.**

სიტყვის სემანტიკიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ყურადღებას გავამახვილებ ომის გამანადგურებელ ძალაზე, რომელიც საცხოვრებელ გარემოს და ხალხს ტორნადოსავით დაატყდება თავს და მასობრივ დესტრუქციას იწვევს. აღნიშნული კონტექსტი გვკარნახობს ანალოგიაზე დაფუძნებულ კავშირს ომის ძალადობას და ტორნადოს/გრიგალს, როგორც კონცეპტუალური მეტაფორის წყარო დომენს შორის. შესაბამისად, ***ომის ძალადობა ტორნადოა/გრიგალია*** ტრადიციული კონცეპტუალური მეტაფორაა.

და ბოლო მეტაფორა, რომელსაც კონცეპტუალური მოდელის დადგენის მიზნით გავაანალიზებთ არის "***the death rain***". იგი სტრუქტურულად არის სახელური მეტაფორა, რომელსაც განსაზღვრავს დამხმარე კონცეპტი "death" და ტექსტში ჩაანაცვლებს კონცეპტუალური შედარების სამიზნე ლექსიკურ ერთეულს 'ტყვიები'. სახელური მეტაფორების შემთხვევაში, თითქმის ეჭვგარეშეა, რომ აღნიშნული სახელური ფრაზა კონცეპტუალური მეტაფორის წყარო დომენია.

საომარი მოქმედებები და, შესაბამისად, ომის ლექსიკური დომენი ტიპურად დაკავშირებულია ლექსიკურ ერთეულთან 'ტყვია'/ 'ტყვიები'. აღნიშნულ კონტექსტში „ტყვიები" ხალხისკენ სიკვდილის და უბედურების მომტანი წვიმასავით მოემართება.

ქვედომენები 'ვულკანი', 'ცეცხლი', 'ტორნადო' და 'წყალდიდობა' მეპინგის საფუძველზე შესაძლებელია გავაერთიანოთ ზოგად წყარო დომენში 'ბუნებრივი კატასტროფა'(ცხრილი 2). შესაბამისად, ***ომი აქტიური ვულკანია, ომი ცეცხლია, ომი ტორნადოა*** და ***ომი წყალდიდობაა,*** არის ტექსტთან ბმული კონცეპტუალური მეტაფორები, რომლებიც დისკურსთან ბმულ კონცეპტუალურ მეტაფორაში ერთიანდება: ***ომი ბუნებრივი კატასტროფაა.***

მეპინგი: ომი, როგორც ბუნებრივი კატასტროფა

წყარო დომენი – ბუნებრივი კატასტროფა	**სამიზნე დომენი – ომი**
ვულკანის ამოფრქვევა	დაძაბულობა კრიტიკულ ნიშნულს აღწევს
ტორნადოს დამანგრეველი ძალა	ომის ძალადობა
თავსხმა წვიმა	ტყვიები, ყუმბარები
წყალდიდობა	სამხედრო, გამწმენდი ოპერაცია

კონცეპტუალური მეტაფორის წყარო დომენი 'თავდაცვა' რეალიზებულია შემდეგი ლინგვისტური ვარიაციებით: "safeguard lives"

(ზმნური მეტაფორა), "retaliatory fire" (სახელური მეტაფორა), "respond to the threats" (ზმნური მეტაფორა) (ცხრილი 2). ლექსიკური ერთეულები 'safeguard', 'retaliatory' და 'respond' ორაზროვნების გარეშე უსვამენ ხაზს ომის თავდაცვით და არა დესტრუქციულ მხარეს, რაც თავის მხრივ მიუთითებს კონცეპტუალურ მეტაფორაზე ***ომი თავდაცვაა.*** თავდაპირველად აღნიშნული კონცეპტუალური მეტაფორა გამოჩნდა ანდერჰილის კვლევაში ერაყის ომის შესახებ (Underhill 2003,142) შემდეგი ლინგვისტური ვარიაციების სახით: *"(George Bush) has rewritten America's* ***security doctrine around the notion of pre-emption,*** *so that he can* ***confront the worst threats*** *before they emerge"* და *"France and Germany both worried about America's claim to a right* ***pre-emptive action to deal with new threats from terrorism and weapons of mass destruction".***

მეპინგი: ომი, როგორც თავდაცვა

წყარო დომენი – თავდაცვა	**სამიზნე დომენი – ომი**
საფრთხის წინააღმდეგ მედეგობა	სამხედრო მოქმედებები მტრის წინააღმდეგ
ვიღაც/რაღაც, ვინც/რაც იცავს	ქვეყნის შეიარაღებული ძალები
დაცვის რესურსები	უსაფრთხოების დოქტრინა

რაც შეეხება ომის, როგორც 'დანაშაულის' კონცეპტუალიზაციას, შემდეგი მეტაფორული გამოთქმები ახდენენ მის რეალიზაციას 'violate territorial integrity' (ზმნური მეტაფორა), 'campaign of killing' (არსებითული მეტაფორა). ლექსიკური ერთეულის 'violate' ძირითადი მნიშვნელობაა "to go against or refuse to obey a law, disturb or not respect someone's privacy". აღნიშნული ომის კონტექსტის გათვალისწინებით კი ის აღნიშნავს ერთი ქვეყნის სამხედრო ძალების მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონო შეღწევას, რაც გამოთქმას მეტაფორულს ხდის. რაც შეეხება ლექსიკურ ერთეულს 'campaign', მისი ძირითადი მნიშვნელობაა "a series of planned activities to achieve a particular social, commercial or political aim". როგორც ვხედავთ, ძირითადი დენოტატური მნიშვნელობა დადებითია. თუმცა ლექსიკური ეთეული 'killing' მას უარყოფითი კონოტაციით ტვირთავს. სახეზე გვაქვს ორი ტექსტთან ბმული კონცეპტუალური მეტაფორა: ***სამხედრო იერიში ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაა*** და ***სამხედრო იერიში მკვლელობის კამპანიაა,*** რომლებიც ომის კრიმინალურ მხარეს წარმოაჩენენ. შედეგად მეპინგის საფუძველზე აღნიშნული ტექსტთან ბმული კონცეპტუალური

მეტაფორები ერთიანდება დისკურსთან ბმულ კონცეპტუალურ მეტაფორაში: ***ომი დანაშაულია.***

მეპინგი: ომი, როგორც დანაშაული

წყარო დომენი – დანაშაული	**სამიზნე დომენი – ომი**
დამნაშავენი	ქვეყანაში შემოჭრილი სამხედრო ძალები
შენობაში უკანონო შეღწევა	ქვეყანაში უკანონო შეღწევა
პატივაყრილი მსხვერპლი	ტერიტორიული ერთიანობის შებღალვა

კვლევის მიხედვით გამოვავლინეთ წყარო დომენი, რომელიც ომს ადარებს თავგადასავალს, რაც ფაქტობრივად ზემოაღნიშნული დომენის საწინააღმდეგოა (ცხრილი 2). აქ ყურადღებას ვამახვილებთ ფრაზაზე "**adventure** in assault" (სახელური მეტაფორა), "cope with the **challenges**" (სახელური მეტაფორა), "sheepish **heroes**" (სახელური მეტაფორა), რომლებიც შემდეგ ტექსტთან ბმულ კონცეპტუალურ მეტაფორებზე მიუთითებენ: ASSAULT IS ADVENTURE, MILITARY INTERVENTION IS CHALLENGE, და SOLDIERS ARE SHEEPISH HEROES. ამ შემთხვევაში კონცეპტუალური კავშირი მყარდება თავგადასავლის გამოწვევას და სამხედრო იერიშს შორის, ასევე გმირებს და მეომრებს შორის, რომელიც მეპინგის მიხედვით გვაძლევს ზოგად დისკურსთან ბმულ მეტაფორას: **ომი თავგადასავალია**.

მეპინგი: ომი, როგორც თავგადასავალი

წყარო დომენი – თავგადასავალი	**სამიზნე დომენი – ომი**
თავგადასავლის მოყვარული	მეომარი
გამოწვევები	სტრატეგიული ინტერესები
თავგადასავლის ძიება	თავდასხმა
სათავგადასავლო ადგილები	მეომარი ქვეყნის ტერიტორიები

შემდეგი წყარო დომენი, რომელიც წარმოდგენილია ცხრილში 2, არის 'პრობლემა/ამოცანა', რომლებიც შემდეგი ლინგვისტური მეტაფორებით არის წარმოდგენილი: "solution to the current crisis" (არსებითული მეტაფორა), "resolve the conflict" (ზმნური მეტაფორა). ლექსიკური ერთეულები, რომლებიც გაანალიზებას საჭიროებს, არის 'solution' და 'resolve', რომელთა ძირითადი მნიშვნელობაა 'to find a method or

process of dealing with a problem'. აღნიშნულ კონტექსტში კი 'პრობლემის/ამოცანის' თვისებები მიეწერება 'ომს', რომელიც, რთული ამოცანის მსგავსად, ამოხსნას/გადაჭრას საჭიროებს, რათა ქვეყანა საომარი კრიზისიდან გამოვიდეს. მეტაფორული ერთეულები ცალსახად მიუთითებენ წყარო დომენზე „პრობლემა/ამოცანა".

მეპინგი: ომი, როგორც პრობლემა/ამოცანა

წყარო დომენი – პრობლემა/ ამოცანა	**სამიზნე დომენი ომი**
ადამიანი, რომელიც პრობლემის	მთავრობა/ სამხედრო ძალებია
გადაჭრის გზას პოულობს	ჩართული პროცესში
ლოგიკური აზროვნებაა საჭირო	სტრატეგიული აზროვნებაა საჭირო
სირთულე	კრიზისი

როგორც ჩანს, კონცეპტუალური მეპინგის საფუძველზე სამიზნე დომენი „ომი" მრავალი წყარო დომენით არის წარმოდგენილი, რომელიც აღნიშნული კონცეპტის რეალიზაციას სხვადასხვა კოგნიტური მოდელის – კონცეპტუალური მეტაფორის სახით ახდენს. საკვლევი საკითხის თემატიკიდან გამომდინარე, შემდეგ ქვეთავში წარმოდგენილია ამ თავში განხილული კონცეპტუალური მეტაფორების კავშირი, ურთიერთმიმართება გენდერთან.

4.3. ომის კონცეპტუალური მეტაფორების დისკურსული სისტემატურობა

კვლევამ გვაჩვენა, რომ ომის კონცეპტუალიზაციის მეტაფორული მოდელების გარკვეული წყარო დომენები ძირითადად ასოცირებულია მამაკაცების დისკურსთან. ეს წყარო დომენებია ***სპორტი/თამაში, თავდაცვა, თავგადასავალი*** და ***მხეცი***. მეტაფორული გამოთქმების სიხშირე სხვადასხვა წყარო დომენთან მიმართებაში წარმოდგენილია ცხრილში 3.

თუმცა მეტაფორული TTR გვაჩვენებს (ცხრილი 3), რომ ქალისა და მამაკაცის დისკურსის ლექსიკური მრავალფეროვნება თითქმის თანაბარია (0.39 და 0.36 შესაბამისად). მიუხედავად ამისა, ცალკეულ წყარო დომენებს თუ გავაანალიზებთ, მამაკაცების დისკურსი ლექსიკურად უფრო მრავალფეროვანია ისეთი კონცეპტუალური მოდელების მხრივ, როგორიცაა *თამაში/სპორტი, თავდაცვა, დანაშაული, პრობლემა, თავგადასავალი* და *მხეცი.*

ცხრილი 3. სხვადასხვა წყარო დომენის მეტაფორული პროდუქტიულობა გაზეთ *The Georgian Times*-ის მასალის მიხედვით

წყარო დომენები	**მეტაფორების ვარიაციები/ ტიპები**		**მეტაფორული ტოკენები (სრული რაოდენობა)**		**mTTR**		**მეტაფორული სიხშირე**	
	მამა-კაცი	**ქალი**	**მამა-კაცი**	**ქალი**	**მამა-კაცი**	**ქალი**	**მამა-კაცი**	**ქალი**
თამაში/ სპორტი	8	–	25	–	0.32	–	0.86	–
თავდაცვა	4	–	8	–	0.5	–	0.28	–
დანაშაული	2	1	5	1	0.4	1	0.17	0.04
პრობლემა	2	1	9	2	0.22	0.5	0.31	0.07
თავგადა-სავალი	3	–	10	–	0.3	–	0.35	–
მხეცი	2	–	6	–	0.3 –		0.21	–
ბუნებრივი კატასტროფა	5	10	10	28	0.5	0.36	0.35	0.98
	26	12	73	31	0.36	0.39	2.52	1.09

ზოგადი დომენი *ბუნებრივი კატასტროფა* რამდენიმე ქვედომენს აერთიანებს (ტექსტთან ბმული კონცეპტუალური მეტაფორა). ქვედომენი *წყალდიდობა* კი ძირითადად ასოცირებულია ქალის დისკურსთან. ბუნებრივი კატასტროფის სხვა ქვედომენები მეტ-ნაკლებად გაზიარებულია მამაკაცების დისკურსში, თუმცა ნაკლები სიხშირით.

მეტაფორული სიხშირე მიუთითებს, რომ მამაკაცის დისკურსში ჭარბობს კონცეპტუალური მეტაფორები წყარო დომენით *თამაში/სპორტი* (1000 სიტყვაზე 0.86), ხოლო ქალის დისკურსში ჭარბობს კონცეპტუალური მეტაფორები წყარო დომენით *ბუნებრივი კატასტროფა* (1000 სიტყვაზე 0.98). რაც შეეხება ზოგად სიხშირეს, მამაკაცის დისკურსი თითქმის ორჯერ უფრო მეტად არის დატვირთული ომის მეტაფორებით, ვიდრე ქალის (2.52 და 1.09 შესაბამისად), თუმცა ლექსიკური მრავალფეროვნება თითქმის თანაბარია.

4.3 BYU კორპუსის მონაცემები

კვლევამ გამოავლინა ქალისა და მამაკაცის მიერ რეალობის აღქმის განსხვავებული ტენდენციები, რომელიც, ვფიქრობთ, რომ გენდერის ზეგავლენით არის განპირობებული. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ამსახველი კონცეპტუალური მეტაფორების ანალიზი გვაჩვენებს, რომ მამაკაცები კონცეპტუალურ დონეზე ომს უმეტესწილად ადარებენ თამაშს და სპორტს, ხოლო ქალები კი – კატასტროფას და უბედურებას. BYU კორპუსის მონაცემები, რომელიც კვლევის შედეგების გამყარებისთვის და განზოგადებისთვის გამოვიყენეთ, ხაზს უსვამს ტექსტის შემქმნელის მიერ რეალობის აღქმის განსხვავებულ, საპირისპირო ასპექტებს გენდერთან მიმართებაში.

BYU კორპუსში, კვლევის შედეგად გამოვლენილ მეტაფორებთან ერთად, აღმოჩნდა მეტაფორული გამოთქმა "war is a game…" ამ შემთხვევაში სხვადასხვა ლინგვისტური ინტერპრეტაციის კოგნიტური საწყისი „ჩაკერებულია" დისკურსში, როგორც ისეთი პირდაპირი კონცეპტუალიზაცია, როგორიცაა კლაუზვიცის მეტაფორა "War is politics pursued by other means". დისკურსში პირდაპირი კონეცპტუალიზაციის დროს მეტაფორის წყარო და სამიზნე დომენი ვერბალურად არის მოცემული, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდება ზმნით "to be". კოგნიტური მეტაფორის პირდაპირი დისკურსული კონცეპტუალიზაცია გვხვდება შექსპირთანაც. მაგ. *"All the world's a stage, And all the men and women merely players"*. ასეთ შემთხვევებში ლინგვისტური ვარიაციები კი არ გვაქვს, არამედ ფრაზაში თვალნათლივ ჩანს წყარო და სამიზნე დომენი.

ზემოხსენებულის მნიშვნელოვანი მაგალითები მოვიპოვეთ ქვეკორპუსში COHA (კონკორდანსის ცხრილი 1. იხ. დანართი): *"War is a game of pleasure, rather than dark hazard" (N3), "War is a game of pure chance, in which great leaders form their plans on some unintelligible inspiration" (N7)* და *"War is a game, which, were their subjects wise, Kings would not play at"* (N1 – უილიამ კუპერი).

ქვეკორპუსში GLOBWE (კონკორდანსის ცხრილი 2. იხ. დანართი) წარმოდგენილია შემდეგი მაგალითები:

"*In many parts of the world, war is a game, in which the individuals can win counters – counters which bring him prestige in the eyes of his own sex; he plays for these counters as he might, in our society, strive for a tennis championship. Then proving oneself a man and proving this by success inorganized killing due to a definition which many societies have made manliness*" (N2).

"*War is the game of the wits for the general*" (N4 – სამხედრო უნარების მიმართ დეკარტისეული მიდგომა).

"War is a game of strategy fought between generals, and soldiers are unwitting participants" (N8 – პატრიკ ვიატტი, ჟურნალისტი)

და ჩერჩილის ფრაზა: *"War is a game that is played with a smiling face, if you can't smile, grin, keep out of the way till you can"* (N9).

ქვეკორპუსში NOW (კონკორდანსის ცხრილი 3. იხ. დანართი): *"War is a game of chess"* (N3 – ინდოელი გენერალი), *"War is a game played according to rules accepted by both sides… We are sportsmen not butchers, we shoot down planes, not pilots"* (N5 – პირველი მსოფლიო ომის წითელი ბარონი, მანფრედ ფონ რიხტჰოფენი) და *"War is a game tailor-made for fans of berserk"* (N7 – რიჩარდ აიზენბაისი, ჟურნალისტი).

კონცეპტუალური მეტაფორების გენდერთან ასოცირებული სიხშირეების დათვლის მიზნით შევკრიბეთ ყველა ქვეკორპუსის მონაცემები სხვადასხვა წყარო დომენის გათვალისწინებით, რაც წარმოდგენილია დიაგრამაში 1.

დიაგრამა 1. ომის მეტაფორული გამოთქმების სიხშირეები BYU კორპუსში სხვადასხვა წყარო დომენის მიხედვით



მამაკაცის დისკურსისთვის ჭარბი კონცეპტუალური კონცეპტუალური ფრეიმებია „ომი სპორტია/თამაშია" და „ომი თავდაცვაა", რომლებიც სხვადასხვა ლინგვისტური ვარიანტების საფუძველის წარმოადგენს (ცხრილი 4, იხ.დანართი). ქალის დისკურსში კი ჭარბობს შემდეგი კონცეპტუალური ფრეიმი „ომი ბუნებრივი კატასტროფაა".

5. დისკუსია და დასკვნები

წინამდებარე კვლევის საშუალებით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის და ინგლისური და ქართული ენის კორპუსების მაგალითზე შევეცადეთ გაგვერკვია, თუ როგორ მოქმედებს გენდერი ქალისა და მამაკაცის დისკურსში მეტაფორების „არჩევანსა" და გარკვეული მეტაფორების სიჭარბეზე. გენდერთან მიმართებაში მეტაფორული გამოთქმების და, შესაბამისად, კონცეპტუალური მეტაფორების განსხვავებულობა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ქალი და მამაკაცი ომის კონცეპტუალიზაციის/ფრეიმინგის დროს განსხვავებულ მეტაფორებს ანიჭებენ უპირატესობას.

კვლევის გამორჩული ნაწილი იყო კონცეპტუალური მეტაფორების იდენტიფიცირება დისკურსში წარმოდგენილ ლინგვისტურ მეტაფორებზე დაყრდნობით. კონცეპტუალური მეტაფორის ღერძს წარმოადგენს წყარო დომენი, როგორც შედარების საწყისი. ამიტომ მათი დადასტურება მნიშვნელოვანია. ლინგვისტური მეტაფორული გამოთქმები, რომლებიც სტრუქტურულად წარმოდგენილია არსებითი სახელებით ან არსებითი სახელებით განსაზღვრული დამხმარე კონცეპტებით, წყარო დომენის გამოვლენის თვალსაზრისით ბუნდოვანებას არ ქმნის, რადგან არსებითი სახელები მიუთითებენ შედარების წყაროზე. ამგვარი ლინგვისტური მეტაფორული გამოთქმებია "death rain" (ქალის დისკურსში) and "expansionist gambit", "a game of Russian Roulette", "a zero sum game", "adventure in assault", "defense campaign/practice", and "player" (მამაკაცის დისკურსში).

რაც შეეხება ზმნებით ან ზმნური ფრაზებით წარმოდგენილ მეტაფორულ გამოთქმებს ("erupt", "spiral out of control", "flush out"), ისინი გვთავაზობენ რამდენიმე კონცეპტუალურ ფრეიმს, ისეთი შემთხვევების გარდა, როდესაც ზმნაში ჩანს შედარების სავარაუდო წყარო ("unleash", "flare up"). კონცეპტუალურ მეტაფორაში რელევანტური წყარო დომენის დადგენის მიზნით, ჩვენ განვიხილეთ სამიზნე ლექსიკური ერთეულების დენოტატური (სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობა) და კონოტატური (ემოციური და წარმოსახვითი მნიშვნელობა) მნიშვნელობები. ლექსიკური ერთეულების კონოტატური მნიშვნელობების

განხილვამ დაგვიდასტურა წყარო დომენების არჩევანი კონცეპტუალურ ფრეიმში: „განმწმენდი ოპერაცია წყალდიდობაა", „საომარი მოქმედება აქტიური ვულკანია", „ომის ძალადობა ტორნადოა".

თუ ყოველივე ზემოთ ხსენებულს შევაჯამებთ მეტაფორის დისკურსული სისტემატურობის თვალსაზრისით, ვნახავთ, რომ კონცეპტუალური მეტაფორების სიხშირე მამაკაცების დისკურსში ორჯერ მაღალია ქალის დისკურსთან შედარებით (2.52 და 1.09 შესაბამისად). თუმცა მეტაფორების ლექსიკური მრავალფეროვნება ორივე დისკურსის შემთხვევაში თითქმის თანაბარია (mTTR 0.36 მამაკაცის დისკურსისთვის და 0.39 ქალის დისკურსისთვის). ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნულ დისკურსში მამაკაცების მეტაფორული აქტივობა უფრო მაღალია, ვიდრე ქალების. რაც შეეხება ლექსიკური მრავალფეროვნების ინდექსს, ის თითქმის თანაბარია, თუმცა ძირითადი განსხვავება განპირობებულია მეტაფორული ერთეულების არჩევანით. მეტაფორების სელექციური არჩევანის საშუალებით ქალი და მამაკაცი დისკურსის მონაწილეები ქმნიან სხვადასხვაგვარ რეალობებს. მამაკაცის მიერ კოგნიტურ დონეზე „შერჩეული" მეტაფორები იდეაციური ფუნქციიდან გამომდინარე განიხილავენ ომს, როგორც „კონკურენტულ თამაშს", რითაც ისინი ქმნიან აგრესიულ და კონკურენტულ მენტალურ მოდელს, რომელიც ტიპურად მასკულინური თვისებებია. რაც შეეხება ომის რეალობის, როგორც „ბუნებრივი კატასტროფის" აღქმას, რომელიც უმეტესწილად ქალისეულ ხედვას წარმოადგენს, ქმნის რადიკალურად განსხვავებულ სუბიექტურ რეალობას და ხაზს უსვამს გაქცევას, საფრთხისგან თავის დაღწევას, სიცოცხლის დაკარგვას და ა.შ.

BYU გაერთიანებული კორპუსის მონაცემები ამყარებს კვლევის შედეგებს, ხაზს უსვამს რა ქალისა და მამაკაცის დისკურსში განსხვავებული მეტაფორების სიჭარბეს, რომლებიც გარკვეული ტენდენციის მატარებელია. კერძოდ, მამაკაცების შემთხვევაში ომი უმეტეს შემთხვევაში პოლიტიკურ თამაშთან და თავდაცვასთან ასოცირდება, ქალების შემთხვევაში კი – უბედურებასთან და ბუნებრივ კატასტროფასთან, რომლის ლინგვისტური ვარიაციები დისკურსის დამახასიათებელი ნიშანია (Charteris-Black 2006; Wodak 2006), რადგან ბუნებრივი ძალების გამანადგურებელი და დამანგრეველი თვისება მიემართება ომის მსგავს თვისებას. ბუნებრივი კატასტროფის მეტაფორები აღმოჩნდა როგორც ქალის, ისე მამაკაცის დისკურსში, თუმცა განსხვავებული სიხშირით. ომის მეტაფორული რეპრეზენტაცია, რომელიც ასოცირდება თამაშთან და პოლიტიკურ ძალასთან, ძირითადად მამაკაცებთან არის დაკავშირებული.

აღნიშნული კვლევა გამოკვეთს კოგნიტურ დონეზე მეტაფორების სელექციური არჩევანის ალბათობას გენდერთან მიმართებაში. ლაკოფი და ჯონსონი აღნიშნავენ: „მეტაფორებს შეუძლიათ, შექმნან რეალობები ჩვენთვის, განსაკუთრებით სოციალური რეალობები", რომელიც მათ დამაჯერებლობას მატებს (1980,156). ზემოთ ხსენებული მეტაფორების სელექციური არჩევანი ახდენს გენდერით განპირობებული რეალობის კონსტრუირებას, რადგან „გარკვეული მეტაფორების გამოყენებით დისკურსის მონაწილე განსაზღვრავს თემას, ახდენს მის კონცეპტუალიზაციას და არწმუნებს მკითხველს, გაიზიაროს მისი კოგნიტური მოდელი. ერთი სიტყვით, მეტაფორა ასრულებს დამხმარე როლს რეალობის გარკვეული ხედვის კონსტრუირებაში" (Koller 2004, 2). შედეგად, მამაკაცის და ქალის მიერ კონცეპტუალური მეტაფორების ტენდენციური არჩევანი რეალობას განსხვავებულად წარმოგვიდგენს, რაც გარკვეულწილად დისკურსის გენდერიზაციას იწვევს.

კოგნიტური მოდელების გენდერთან ასოცირებული განსხვავებული სიჭარბე თუ ტენდენციურობა დისკურსში, შესაძლებელია, რამდენიმე ფაქტორით იყოს გამოწვეული. ერთ-ერთის მიხედვით, ომი არის: *"the space where women… are not"* (Higonnet 1995, 87). საუკუნეებია ომი აღიქმება, როგორც მასკულინური აქტივობა, რომლის დროსაც ქალი და მამაკაცი "were fighting different wars" (Watson 2004). უოტსონი ამბობს, რომ ეს განსხვავებები უნდა შეფასდეს: *"how people thought about gender and class…profoundly influenced how they imagined the experience of different kinds of war work"* (ibid., 6), რადგან ისტორიულად გენდერი ომზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა კულტურის და ეროვნების მიუხედავად (Goldstein 2001). მედია კი აგრძელებს ომის სტერეოტიპულ ფრეიმინგს ჩვენს გონებაში (Lippman 1922) და მას მამაკაცების დომენად, საქმედ წარმოგვიდგენს (Goldstein 2001), რომელსაც ნატურალიზებული სახე აქვს.

როგორც ჩანს, გენდერთან ბმული კონცეპტუალური მეტაფორები, განსაკუთრებით ზოგადი/დისკურსთან ბმული კონცეპტუალური მეტაფორები ქალისა და მამაკაცის განსხვავებულ კონცეპტუალურ სისტემას აყალიბებს. კონცეპტუალური მეტაფორა იმპლიციტური ძალაა, რომელიც რეალობის გენდერიზაციას ახდენს და ამასთანავე წარმოაჩენს ძალის ურთიერთმიმართებებს, „რადგან მეტაფორულ აქტივობას ადაგილი აქვს განსხვავებულობის არეალში, იქ, სადაც მიმდინარეობს ბრძოლა ძალაუფლებისთვის" (Kress 1989,71).

და მართლაც, თუ კვლევის შედეგად გამოვლენილ კონცეპტუალურ მეტაფორებს გადავავლებთ თვალს, რომლებიც მამრობითი სქესის წარმომადგენლებთან არის დაკავშირებული, ვნახავთ, რომ ისინი მათ

უფრო ძლიერ დისკურსულ პოზიციას მიაკუთვნებენ, რადგან ომის რეალობის აღქმა, როგორც „კონკურენტული თამაში", არის კლაუზვიცისეული მეტაფორის „ომი არის პოლიტიკა, განხორციელებული სხვა საშუალებებით" კონცეპტუალური ვარიაცია, რომელიც ხაზს უსვამს მამაკაცების ომში კონკურენტულ/ შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებულ მონაწილეობას და, შესაბამისად, დისკურსულ ჰეგემონიასაც. ქალთან ასოცირებული რეალობის კონსტრუირების კოგნიტური მოდელი კი, საპირისპიროდ, გამოკვეთს ომის გამანადგურებელ და რეპრესიულ ძალას, რომელიც მათ უფრო დისკურსულად სუსტ პოზიციაში ათავსებს. ამგვარად, „კოგნიცია/შემეცნება ამტკიცებს იდეოლოგიას მენტალური (მეტაფორული) მოდელების სახით, რომლებიც დისკურსის შექმნისას გამოიყენება" (Koller 2004,42). აღნიშნული კოგნიტური პროცესის გამო, მეტაფორები, სავარაუდოდ, ახდენენ საზოგადოებაში აღიარებული გენდერული სტერეოტიპების წარმოჩენას და დიკურსული ძალის შენარჩუნებას დომინანტური ჯგუფის ხელში.

კონცეპტუალური მეტაფორების კრიტიკული ანალიზი გენდერთან მიმართებაში განაპირობებს საომარი კონფლიქტების მიმართ დამოკიდებულებების, მათი გააზრების და შეფასების სტერეოტიპული კოგნიციისგან განსხვავებული, ახალი გზების შექმნას. მეტაფორული ენის ცვლილება გავლენას ახდენს სოციალურ ქმედებაზე (Sapineza 1987) *„კოგნიტური გარდატეხის"* მეშვეობით (Sackmann 1989). ეგრეთ წოდებული *„კოგნიტური გარდატეხა"* კი გავლენას ახდენს მედიადისკურსზე, როგორც ძლიერი სოციოლინგვისტური იარაღი, რომელიც მიმართულია დისკურსში და სოციუმში არსებული ასიმეტრიების (მაგ. გენდერული ასიმეტრიების) აღმოფხვრისკენ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შედეგების სრული/აბსოლუტური განზოგადება ამ ეტაპზე არ არის შეასძლებელი. თუმცა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ კოგნიცია, რომელიც ჩვენ მიერ გაანალიზებული კონცეპტუალური მეტაფორების საშუალებით ქალისა და მამაკაცის დისკურსში აირეკლება, დაახლოებით მსგავს შედეგებს გვაჩვენებს სხვა შემთხვევებშიც.

დაბოლოს, კვლევის შემდგომი ეტაპისთვის ჩვენი მიზანია გამოვლენილი ტენდენციის გადამოწმება სხვა კორპუსში, როგორიცაა Bank of English COBUILD corpus (აღნიშნული კორპუსი ინსტიტუციონალურ წვდომას საჭიროებს), რომლის ფილტრი უფრო ნათელ სურათს მოგვცემს გენდერის მიხედვით განზოგადებისთვის. კვლევამ შესაძლებელია, მიიღოს შემდეგი მიმართულებებიც, კერძოდ, წყარო დომენების დამოწმება ტექსტის რეციპიენტის ფაქტორის გათვლისწინებით, რომელიც, სავარაუდოდ, გავლენას ახდენს ადამიანის გარკვეული მოვ-

ლენისადმი დამოკიდებულებაზე, განზრახვაზე და შემდგომ ქმედებაზე. კონცეპტუალური მეტაფორის აღნიშნული გავლენების კვლევა, მის იდეოლოგიურ ეფექტებთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება დისკურსის კრიტიკული ანალიზის სივრცეში.

დანართი

მინიკორპუსი: *The Georgian Times* (August 11 – September 15, 2008)

ქვეკორპუსი A

[GT 1] Georgia All Alone in Standoff with Russia. (Ketevan Khachidze-Journalist) 11/08/2008 p.2,3

[GT 5] Opposition Declares Moratorium on Domestic Political Disputes. (Nino Japaridze-Journalist) 11/08/2008 p.6

[GT 6] Georgian Rally for Sick and Wounded.(Rusudan Gvazava-Journalist) 11/08/2008 p.6

[GT 7] Human Chain Stretches from Russian Embassy to Freedom Square. (Nino Japaridze) 11/08/2008 p.6

[GT 9] Georgian Conflict Alert: the Need for an Immediate End to Hostilities in South Ossetia. (Nino Japaridze)11/08/2008 p.7

[GT 10] Hackers Also Target Saakashvili's Site. (Nino Japaridze) 11/08/2008 p.8

[GT 11] Russian Hackers Attack Georgian Websites. (Nino Japaridze)11/08/2008 p.8

[GT 14] What Will Stop Russia? (Nino Japaridze) 18/08/2008 p.2.

[GT 15] Gori Razed to the Ground. (Nino Japaridze)18/08/2008 p.3

[GT 17] Refugees Flee to the Capital. .(Rusudan Gvazava) 18/08/2008 p.6

[GT 20] Roki-Tunnel of Misfortune. (Marika Kakhadze-Journalist) 18/08/2008 p.3,8.

[GT 21] Georgians Rally Worldwide to Protest Against Russia's Offensive. (Eka Chikovani-Journalist)18/08/2008 p.10

[GT 24] Georgia: Russian Cluster Bombs Kill civilians.(Nino Japaridze) 18/08/2008 p.13

[GT 25] Nino Burjanadze: "Demonstrating unity is very important but we have nothing to celebrate". 18/08/2008p.13. (Nino Burjanadze-opposition

party leader)
[GT 26] "Putin Cannot be Stopped by Russian Public Opinion" – Valeriya Novodvorskaya – politician). 18/08/2008 p.16
[GT 28] IOC Comments on Situation in Georgia. (Giselle Davies-Head of IOC) 11/08/2008 p.3
[GT 29] Russia Leaves but Stays. (Nino Japaridze)25/08/2008. p.2
[GT 30] Russian Won't Ever Stretch the Skins of Georgians on Drums. (Nana Gagua-Journalist)25/08/2008. p.2
[GT 32] Georgia Sues Russia in the Hague and Strasbourg for "Ethnic Cleansing". (Dali Bzhalava-journalist) 25/08/2008. p.3
[GT 34] Who Here Helped Russia Occupy Georgia? (Dali Bzhalava) 25/08/2008 p.5,10
[GT 37] Despite Provocation, Politicians Stand Together. (Nino Japaridze)25/08/2008. p.8
[GT 40] New "Weapon" Against Georgia – Forest Fires. Nino Japaridze)25/08/2008 p.11
[GT 41] More Victims of Russian Peace. (Shorena Tsivkarashvili-journalist) 25/08/2008 p.13
[GT 42] Tsotne Bakuria: "Saakashvili has fulfilled the most beautiful dream of Russia". 18/08/2008 p.16 (Jana Asanidze-Journalist)
[GT 43] In War and Peace. (Tinatin Dzhaparidze) 25/08/2008 p.18,19.
[GT 44] Why do Georgian Emigrants in Russia Keep Silent? Nino Japaridze) 25/08/2008 p.18
[GT 46] GORI – the town which has survived. Nino Japaridze) 01/09/2008 p.3.
[GT 49] Dead but not forgotten. (Rusudan Gvazava)01/09/2008 p.4
[GT 51] "The Population is assisting us immensely, but what is the government would take care of us as well?" (Shorena Tsivkarashvili) 01/09/2008 p.5
[GT 54] We shall Overcome, Says Business Community.(Manana Abashidze) 01/09/2008 p.9
[GT 55] Rompetrol Has Enough European To Last Several Months. (Manana Abashidze)01/09/2008 p.9
[GT 59] Much is Promised, But What Will It Deliver? Nino Japaridze) 08/09/2008 p.6
[GT 64] We Hope a Kind Rainbow Will Replace the Death Rain Soon. Nino Japaridze) 08/09/2008 p.17

[GT 65] Russia's Hard Stance on EU Observers May Challenge EU-Bordered Deal. Nino Japaridze) 15/09/2008 p.2

[GT 66] Burjanadze Presses for Facts. (Ketevan Khachidze-Journliast)15/09/2008 p.4

[GT 67] Salome Zourabishvili : "Resolution in Georgia stalled with frozen relations in Europe". p.5 (opposition party leader)

ქვეკორპუსი B

[GT 2] Europe has learned nothing from the Crimes of Hitler. (Kakha Lomaia – State Secretary of Georgia) 11/08/2008 p.2

[GT 3] Obama, McCain Urge Restraint in Georgia. (Obama and McCain cited) 11/08/2008 p.3

[GT 4] Russia Crosses the Line. 18/08/2008 (Richard Holbrooke and Ronald Asmus-Journalists) p.17

[GT 8] Euronews Lies About South Ossetia Fighting. (I.G. Chopan – Journalist) 11/08/2008 p.7

[GT 12] The SU-24 Bomber and Russian Military Diplomacy. (Amiran Salukvadze-Journalist) 11/08/2008 p.8, 13.

[GT 13] Mzhavia Demands an UN Administration for Gali. (Temur Mzhavia – Head of Legitimate Government of Abkhazia) 11/08/2008 p.10

[GT 16] We came in to Get saakashvili Out, say Russians.(Aleko Akobia – Journalist) 18/08/2008 p.5

[GT 18] Neo-Imperial Russia's True Geopolitics in Waging War Against Georgia. (Vakhtang Maisaia – Chairman of Foreign Policy Association in Georgia) 18/08/2008 p.8

[GT 19] The Russian-Georgian War Was Pre Planned in Moscow. (Pavel Felgenhauer – Journalist) 18/08/2008 p.8

[GT 22] Putin Deliberately Destroys Reputation of the Russian Federation. (Merab Pachulia-Journalist) 18/08/2008 p.10

[GT 23] "We hope that we will, in future, be much better positioned to win any information war". (Malkhaz Gulashvili – President of Media Holding)18/08/2008 p.11

[GT 27] What the West Can Do?(Richard Holbrooke) 25/08/2008 p.16

[GT 31] Strob Talbott: "Not Clear What Russia is going to do next". 25/08/2008. p.3 (President of Brookings Institute)

[GT 33] Georgia Invaded: A Test Case for NATO. (Nodar Tangiashvili Journalist) 25/08/2008 pp.4,5.

[GT 35] Putin Cheats in "New Great Game" of "Russian Roulette". (Merab Pachulia-Journalist) 25/08/2008 p.6.

[GT 36] Gone from Senaki but not Very Far. (Aleko Akobia-Journalist) 25/08/2008 p. 8

[GT 38] Gia Karkarashvili: "If we had fought better, our tanks would be at the Roki Tunnel, not at Igoeti". (Former MP and Minister of Defence of Georgia) 25/08/2008 p.9,10.

[GT 39] Mamuka Areshidze: War Toll is Higher than Official Data Suggests" (Political analyst and expert) 25/08/2008 p.9,10

[GT 45] "It doesn't matter who began war because that is a childish question which attempts to skirt the problems". (Ralph Halbig – Journalist) 25/08/2008 p.18

[GT 47] "Power Politics and historical legacies still matter" – Cory Welt (Specialist on Georgia) 01/09/2008 p.4

[GT 48] The EU Wakes Up, But Up To What Point? (Nodar Tangiashvili) 01/09/2008 p.4

[GT 50] Russia Has Lined Up Its Dominoes. (Mamuka Areshidze) 01/09/2008 p.4

[GT 52] Temur Yakobashvili: "We should not rely on the international organizations in which Russia has a right of veto". (Minister of Reintegration) 1/09/2008 p.6

[GT 53] "I know if I go back home in Abkhazia, I will never be able to leave again" (Former resident and IDP from Abkhazia) 01/09/2008 p.6

[GT 56] Georgia Splits the Kremlin. (Andrei Piontkovsky – Political analyst) 01/09/2008 p.16

[GT 57] The Wolf that Ate Georgia. (Antonio Cassese – Jurist specializing in international law) 01/09/2008 p.16,17.

[GT 58] Georgia: More Sinned Against than Sinning. (Andrew Webb – resident in Georgia) 01/09/2008 p.18,19.

[GT 60] The USA Energy Security "Caucasus" Vector: Why did Cheney Visit the Region??? 08/09/2008 (Vakhrtang Maisaia) p.8

[GT 61] Shalva Pichkhadze: EU Condemns Russia for "Excessive Use of Force, and not for the Use of Force… (Shalva Pichkhadze Political Adviser)

08/09/2008 p.9

[GT 62] David Bakradze: "I hope the CIS countries will withstand Russia's political pressure". 08/09/2008 p.9 (Chairman of the parliament)

[GT 63] Tsotne Gamsakhurda's Letter to the Georgian Times: If Georgians living in Russia decided to appropriate a region of Russia for themselves, would Russia be so acquiescent to their demands? (The son of Georgia's first President) 08/09/2008 p.10

[GT 68] Why and How Georgia Overlooked the Russia's Aggression??? (Vakhtang Maisaia) 15/09/2008 p.8

ცხრილი 4. წყარო დომენები BYU კორპუსის მონაცემებში

წყარო დომენი	**მეტაფორა**	**COCA**			**COHA**			**NOW**			**GLOBWE**			**BNC**		
		m	**f**	**n**	**M**	**f**	**n**	**m**	**f**	**n**	**m**	**f**	**n**	**m**	**F**	**n**
game/ sport	war play*	6	2	-	39	2	-	231	18	18	81	-	35	5	-	-
	zero sum game	78	12	-	18	1	-	388	26	123	363	21	78	17	-	-
	war is a game	-	-	-	10	-	-	7	-	1	7	-	3	-	-	-
crime	violat* territorial integrity	-	-	-	-	-	-	4	-	-	3	-	-	-	-	-
	campaign of killing	4	-	1	-	-	-	26	4	7	3	-	2	-	-	-
problem	resolve conflict/ war	6	16	3	11	-	-	1	-	-	-	1	-	3	1	1
	solution to war	-	-	-	-	-	-	4	2	-	1	2	3	-	-	-
Beast	unleash war/ offensive	1	-	-	1	-	-	14	-	-	2	-	3	2	-	-

defense	defense campaign	2	1	-	1	-	-	16	-	5	4	-	-	1	1	2
	retaliatory fire	2	-	-	-	-	-	275	5	64	22	-	11	1	-	-
	safeguard lives	3	-	-	-	-	-	141	6	16	9	-	4	1	-	-
natural disaster	war erupt*	18	8	8	8	4	3	64	151	391	14	19	85	2	3	9
	war spill* over	-	1	-	-	-	-	11	11	19	4	10	7	1	-	-
	rain of death	-	1	-	4	2	2	2	1	2	2	5	1	1	-	-
	violence spiral* out	1	-	-	-	-	-	6	8	12	1	6	5	-	-	-
	hostilities flare* up	1	-	-	1	-	1	3	3	-	1		1	-	-	-
	soldiers flush* out	-	-	-	-	-	-	2	1	-	-	-	-	-	-	-
	torrent of refugees	10	2	-	8	4	3	6	2	-	16	36	25	2	-	4
	cleansing operation	-	-	-	-	-	-	16	10	24	4	5	6	1	-	1

კონკორდანსის ცხრილი 1. WAR IS A GAME in COHA

კონკორდანსის ცხრილი 2. WAR IS A GAME in GLOWBE

Corpus of Global Web-Based English (GloWbE)

SEARCH FREQUENCY CONTEXT

CLICK FOR MORE CONTEXT [?] SAVE LIST CHOOSE LIST CREATE NEW LIST [?]

1	BD B	nerevieweer.com	A	B	C	like.' Because for them, for most children in the world today, **war is a game**, so they like it. And this movie, because the,
2	GB G	opu.org.uk	A	B	C	going out on a war party. # In many parts of the world, **war is a game** in which the individual can win counters - counte
3	GB B	order-order.com	A	B	C	the Faille accusations of indiscriminate Israeli bombing of civilian targets? # Casual Observer thinks **war is a game** or is
4	HK G	home.mira.net	A	B	C	by travel ". # Military: what is the epistemology of the Conqueror? **War is a game** of wits for the general. It is not a physi
5	IE G	...threads-of-aether.net	A	B	C	perils (except by proxy, and that doesn't count). Gears of **War is a game** aimed squarely at the male demographic who
6	IN G	...sharewarecentral.com	A	B	C	country's destiny: suffers... # Stargate Empire at War 1.0 Stargate Empire at **War is a game** mod for Stargate fans. This
7	PK G	insanislam.org	A	B	C	Before going away, he shouted as loudly as he could: Assuredly, **war is a game** of chance. This day avengeth the day of
8	US G	codesofhonor.com	A	B	C	than the unit AI. # Panel? Sluglik # First of all, Brood **War is a game** of strategy moreso than StarCraft 2. The only match
9	US G	rense.com	A	B	C	shattered 14 # Churchill and Roosevelt knew what was going on. Churchill bragged that " **War is a game** that has to be
10	US B	vg247.com	A	B	C	, is something I don't understand and is incredibly distasteful. # Gears of **War is a game** of excessive violence and very lit

კონკორდანსის ცხრილი 3. WAR IS A GAME in NOW corpus.

corpus.byu.edu/now/

anslate Google YouTube Robinhood - Global Yahoo Finance Investing.com Desmos GeoGebra

NOW Corpus (News on the Web)

SEARCH FREQUENCY CONTEXT

CLICK FOR MORE CONTEXT [?] SAVE LIST CHOOSE LIST CREATE NEW LIST [?]

1	16-10-29 AU	Koteiku Australia	A	B	C	the next the map resets as if nothing was lost. Everything is consequence-free. **War is a game**. # After
3	16-09-29 IN	Hindustan Times (1)	A	B	C	But, as Lieutenant General HS Panag reminded us on Thursday, " **war is a game** of chess ". And the t
4	16-04-09 IE	The42	A	B	C	[illegible] **War is A Game** (But Still Hell
5	14-10-26 AU	The Conversation UK	A	B	C	T fer. # At first, this is an unreflecting peoriot for whom the **war is a game** played according to rules a
6	13-08-21 ZA	Mail & Guardian Online	A	B	C	[illegible] # Winston Churchill once said that **war is a game** that is played with a smile. " If you can't
7	13-02-09 AU	Koteiku Australia	A	B	C	real shame, because Berserk: Millennium Falcon Arc: Chapter of the Holy Demon **War is a game** talio
8	12-05-23 US	WNYC	A	B	C	these weapons have the potential to pollute the earth for a very long time... **War is a game** where ind

დამოწმებანი

Arthur, C. Artist. 2008. *Guarding His Body.* Kimani Press.

Bucholtz, Mary. 2003. Theories of Discourse as Theories of Gender: Discourse Analysis in Language and Gender Studies. In *The handbook of Language and Gender,* ed.J. Holmes and M. Meyerhoff, 43-68. Malden/Oxford: Blackwell Publishing.

Butler, Judith. 1990. *Gender Troubles: Feminism and the Subversion of Identity*. New York: Routledge.

Cameron, Deborah.1992. *Feminism and Linguistic Theory*. 2nd ed. London: Palgrave Macmillan.

Cameron, Deborah. 2001.*Working with Spoken Discourse*. London: Sage.

Cameron, Lynne. 1999. Operationalising "Metaphor" for Applied Linguistic Research. In *Researching and Applying Metaphor,* ed. L. Cameron and G. Low, 3-29. Cambridge: Cambridge University Press.

Chamberlain, Mary, and Paul R. Thompson. 2004. *Narrative* & *Genre: Contexts and Types of Communication.* New Jersey: Transaction Publishers.

Charteris-Black, Johnathan. 2004. *Corpus Approaches to Critical Metaphor Analysis.* Hampshire/ New York: Palgrave Macmillan.

Charteris-Black, Johnathan. 2006. Britain as a Container: Immigration Metaphors in the 2005 Election Campaign. In *Discourse* & *Society* 17, no. 5 (September): 563-581

Chouliaraki, Lilie, and Fairclough, Norman. 1999. *Discourse in Late Modernity: Rethinking.* Edinburg: Edinburg University Press van, Dijk, Teun, A. 193a. *Elite Discourse and Racism*. Newbury Park, California: Sage. van, Dijk, Teun, A. P1993b. Principles of Critical Discourse Analysis. In *Discourse and Society* 4, no.2:249-83

Fairclough, Norman. 1989. *Language and Power*. London: Longman.

Fairclough, Norman. 1992. *Discourse and Social Change.* Cambridge: Polity Press.

Fleischmann, Suzanne. Language and Medicine. 2001. In *The Handbook of Discourse Analysis,* ed. D. Schiffrin, D. Tannen and H.E. Hamilton, 470-502. Malden: Blackwell Publishing.

Genco, James. 2012. *Into the Tornado of War*. Abbott Press.

Gibbs, Raymond, W. 1994. *The Poetics of Mind: Figurative Thought, Language, and Understanding.* Cambridge: Cambridge University Press.

Goatly, Andrew. 1997.*The Language of Metaphors*. London: Routledge.

Goldstein, Joshua,S. 2001. *War and Gender. How Gender Shapes the War System and Vice Versa*. Cambridge: Cambridge University Press.

Gustafsod, Per, E. 1998. Gender Differences in Risk Perception: Theoretical

and Methodological Perspectives. In *Risk Analysis: An International Journal,* ed. L. Anthony Cox, Jr.ISI Journal Citation Reports 18, no.6 (December) :805-811

Haitz, R. Alina. 2014. *I AM … Daily Reflections to Uplift your Soul and Connect You to Mother Earth.* Bloomington IN: Balboa Press.

Halliday, Michael, Alexander, Kirkwood. 1978. *Language as Social Semiotic.* London: Arnold.

Higonnet, Margaret, R. 1995. Another Record: A Different War. In*Women's Studies Quarterly* 23, no 3-4 :85-96.

Hollingsworth, Susan, B. 2006. The Impact of Gender on the Use of Metaphors in Media Reports Covering the 2003 Gulf War in Iraq, Master's thesis, University of Missouri, Columbia, USA.

Kirvalidze, Nino. 2009. Metaphoric Conceptual Parallelisms in American and Georgian Political Discourse (Based on the material of 2008 Russian-Georgian War).“Humanities in Informational Society“. International Conference, vol.1. 177-181 Batumi: Shota Rustaveli State University.

Koller, Veronica. 2004. *Metaphor and Gender in Business Media Discourse: A Critical Cognitive Study.* Basingstoke; New York: Palgrave Macmillan.

Koller, Veronica, and Elena Semino. 2009. Metaphor, Politics and Gender: A Case Study from Germany. In *Politics, Gender and Conceptual Metaphors,* ed. K. Ahrens, 9-35. Basingstoke: Palgrave.

Kovecses, Zoltan. 2008. Conceptual Metaphor Theory. Some Criticism and Alternative Proposals. In *Annual Review of Cognitive linguistics.* (June):168-184.

Kovecses, Zoltan. 2010. *Metaphor: A Practical Introduction.* Oxford: Oxford University Press.

Kress, Gunther, R. 1989. *Linguistic Process in Sociocultural Practice,* 2nd ed. Oxford: Oxford University Press.

Lacey, Nick. 2000. *Narrative and Genre: Key Concepts in Media Studies.* London: Palgrave Macmillan.

Lakoff, Robin. 1975. *Language and Women's Place.* New York: Harper and Row.

Lakoff, George. 1987.*Women, Fire and Dangerous things: What Categories Reveal about the Mind.* London: University of Chicago Press.

Lakoff, George. 1992. Metaphor and War: The Metaphor System to Justify War in the Gulf. In *Thirty Years of Linguistic Evolution,* ed Putz Martin, 463-481. Philadelphia, Amsterdom: John Benjamins Publishing Company.

Lakoff, George. 1993. The Contemporary Theory of Metaphor. In *Metaphor*

and Thought. ed. A.Ortony 2nd ed. 202-251. Cambridge: Cambridge University Press.

Lakoff, George, and Mark Johnson. 1980. *Metaphors We Live By.* Chicago, London: Chicago University Press.

Lakoff, George. 2002. *Moral Politics: How Liberals and conservatives think.* Chicago:University of Chicago Press.

Langacker, Ronald. 1987. *Foundations of Cognitive Grammar*. *Theoretical Prerequisites*. vol. 1 Stanford: Stanford University Press.

Lippman, Walter. 1921. *Public Opinion.* New York: Free Press.

McEnery Tony, Richard Xiao, Yukio Tono. 2006. *Corpus-Based Language Studies: An Advanced Resource Book.* London and New York: Routledge.

McEnery Tony, Wilson Andrew. 2001. *Corpus Linguistics: An Introduction.* Edinburgh: Edinburgh University Press.

Musolff, Andreas. 2004. *Metaphor and Political Discourse: Analogical Reasoning in Debates about Europe.* Houndmills; Basingstoke: Palgrave Macmillan.

Nye, Joseph. 1990. *Bound to Lead: The Changing Nature of American Power.* Basic Books.

Nye, Joseph. 2008. *The Powers to Lead.* New York: Oxford University Press.

Pragglejaz Group. 2007. MIP: A Method for Identifying Metaphorically Used Words in Discourse. In *Metaphor and Symbol* 22 (January): 1-39.

Reddy, Michael, J. 1979. The Conduit Metaphor: A Case of Conflict in Our Language about Language. In *Metaphor and Thought.* ed. A. Ortony, 284-310. Cambridge: Cambridge University Press.

Richards, Ivor, A. 1936. *The Philosophy of Rhetoric.* Oxford: Oxford University Press.

Sackmann, Sonja. 1989. The Role of Metaphors in Organizational Transformations. In *Human Relations* 42 (June): 463-485.

Sapienza, Anna, Maria. 1987. Imagery and Strategy. In *Journal of Management* 13: 543-555.

Shaikh, Samira, Strzalkowski, Tomek, Taylor, Sarah, Lien, John, Liu, Ting, Aaron, George Broadwell, Laurie, Feldman, Yamrom, Boris, Cho, Kit, and Yuliya Pesh. 2014. Discovering Conceptual Metaphors Using Source Domain Spaces. In *Proceedings of the* 4th *Workshop on Cognitive Aspects of Lexicon,* ed. *Zock/Rapp/Huang.* Dublin (August): 210-220.

Sweetser, Eve. 1990. *From Etymology to Pragmatics: Metaphorical and Cultural*

Aspects of Semantic Structure. Cambridge: Cambridge University Press.

Talbot, Mary. 1998. *Language and Gender.* London: Polity.

Underhill, James, William. 2004. The Switch: Metaphorical Representation of the War in Iraq from September 2002 – May 2003. In *metaphorik. de* (May): 135-165

Watson, Janet. 2004. *Fighting Different Wars: Experience, Memory, and the First World War in Britain*. Cambridge: Cambridge University Press.

Wharton, S. Amy. 2005. *The sociology of gender: An introduction to theory and research.* Malden, MA: Blackwell Publishing.

Wilson, Fiona. 1992. Language, technology, gender, and power. In *Human Relations* 45, no.9 (September): 883-904.

Wodak, Ruth. 2006. Critical Linguistics and Critical Discourse Analysis. In: *Handbook of Pragmatics*. Amsterdam: John Benjamins.

Wood, Christopher. 2011.*The Adventures of P. D. Puddle Skipper.* US Trade. Santa Barbara, California: Golden Loom Press.

ARTICLES

Nino Guliashvili
Ilia State University

